საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 19 თებერვალი, 2013 წელი.

№31 (7158)

იმისთანა წმინდა საქმეში, რომელიც ბეჭდვეტი სიფცვაა, ფცუილებით და ჭირებით ბუნების გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge | ვებ გვერდი: www.open.ge | ფასი 50 თეთრი.

ახლა კიდევ ერთი გადამწყვეტი ბრძოლა გვაქვს ყველას ერთად მოსაგები, ბრძოლა იმისათვის, რომ ერთხელ და საეუდამოდ დავძლიოთ გაჭირვება, რომ ყველა ოჯახი გაიმართოს ფელში და ღირსეულად იცხოვროს თავის საეშობლოში

2–3

ბიძინა ივანიშვილის სიტყვა „ქართული ოცნება“ – დემოკრატიული საქართველო“ – პარტიის ყრილობაზე 16 თებერვალს

„მღვდლები და მრევლი გაწყდა, თუ ყველა ერთბაშად ტოლერანტი გახდა?“

7



ორმაგი სტანდარტები

ანუ „მე რომ მამაცი ვიყო!“

6

ორთვლიანი ეტლი ხელისუფლებისთვის,

ანუ სიტყვა, რომელსაც „ქართული ოცნების“ ყრილობაზე ვიტყოდი

5

„არაფერი, სიმართლის გარდა!“

რეჟისორი ვლადიმერ ბორბაძე იმის შესახებ თუ რაგორ შევინარჩუნოთ ხალხი და ისტორია

9

მოწამლული თანაარსებობა

8

ჰაკერის წინააღმდეგ აღძრული საქმე ქართველ პოლიტიკოსთა თანამიმდევრულობას კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს?

4

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ახლა კიდევ ერთი გადამწყვეტი ბრძოლა გვაქვს ყველას ერთად მოსაგები, ბრძოლა იმისათვის, რომ ერთხელ და საშუალოდ დავძლიოთ გაჭირვება, რომ ყველა ოჯახი გაიმართოს წელში და ღირსეულად იცხოვროს თავის საშობლოში

ბიძინა ივანიშვილის სიტყვა „ქართული ოცნება“ – დემოკრატიული საქართველო“ – პარტიის ყრილობაზე 16 თებერვალს

მოგესალმებით, მეგობრებო! მივესალმები ყრილობის დელეგატებს, მივესალმები მოწვეულ სტუმრებს,

მადლობა უნდა მოგახსენოთ საპატიო თავმჯდომარედ არჩევისთვის, მადლობა უნდა გადავუხადო პარტიის თავმჯდომარეს მანანა კობახიძეს, რომელსაც ძალიან მძიმე პერიოდში დაეკისრა პარტიის ხელმძღვანელობა, მადლობა უნდა ვუთხრა პარტიის თითოეულ წევრს, თითოეულ აქტივისტს, თითოეულ მხარდამჭერს, ასევე კოალიცია „ქართულ ოცნებაში“ შემავალი პარტიების ლიდერებს, რომლებმაც დიდი დახმარება და თანადგომა გაუწიეს ჩვენს პარტიას.

პარტიას დაარსებიდან სულ რამდენიმე თვეში მოუწია ქვეყნისათვის ყველაზე მნიშვნელოვან არჩევნებში მონაწილეობა, ჩვენ ამ არჩევნებში კოალიციურ რეჟიმში გამოვედით და დამაჯერებელი გამარჯვება მოვიპოვეთ.

გახსოვთ ყველას, პარტიის ჩამოყალიბება როგორ ფორსმაჟორულ რეჟიმში მოხდა, რამდენი წინააღმდეგობის გადალახვა მოგვიწია. პოლიტიკური საქმიანობისთვის ელემენტარული პირობებიც კი არ გვქონდა. პარტიაში გაწევრების გამო ადამიანებს იჭერდნენ და ოჯახებს აშანტაჟებდნენ, აქტივისტებს არბევდნენ და უმოწყალოდ სცემდნენ, თუმცა, პარტიამ ღირსეულად გაუძლო ყველა განსაცდელს და არჩევნებში ჩვენმა კოალიციამ დამსახურებულ გამარჯვებას მიაღწია.

დღეს ჩვენ პარტიას პარლამენტში ყველაზე დიდი წარმომადგენლობა ჰყავს. ამიტომაც ახლა სრულიად სხვა ამოცანების წინაშე ვდგავართ, დღეს ჩვენს წინაშე სრულიად სხვა დღის წესრიგია.

ხალხი გვენდო და ხმა მოგვცა, და ჩვენ ვალდებული ვართ გავამართლოთ ეს ნდობა. ხელისუფლებაში ყოფნის პასუხისმგებლობა გაცილებით უფრო დიდია და ჩვენი ვალია ეს ტვირთი ღირსეულად ვატაროთ.

დღეს ჩვენ მოვიწვიეთ „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ პარტიის ყრილობა იმისათვის, რომ კიდევ ერთხელ შევთანხმდეთ ჩვენი პარტიის პოლიტიკური საქმიანობის ძირითად ამოცანებზე და დავადასტუროთ, რომ კოალიციაში შემავალ სხვა პარტიებთან თანამშრომლობით ვაპირებთ ქვეყანაში ნამდვილი, ძლიერი დამოკრატია შევქმნათ და დავუბრუნოთ ადამიანს, ჩვენი ქვეყნის მოქალაქეს თავისუფლება და ღირსება, აღვადგინოთ და დავიცვათ მისი უფლებები, დავამყაროთ ქვეყანაში სამართლიანობა.

ხალხმა გარკვევით უნდა იცოდეს, რომელ პოლიტიკურ ძალას შეუძლია გაჰყვეს, ვის მიემხროს და ვის არა, ვინ აირჩიოს და ვინ არა. ხალხს სიცხადე სჭირდება.

ამისთვის აუცილებელია, პარტია დაეფუძნოს გამოკვეთილ და ჩამოყალიბებულ მსოფლმხედველობას და შექმნას ისეთი პარტიული სისტემა, რომელიც მთელ საქართველოს მოიცავს.

პირველ რიგში, აუცილებლად უნდა გითხრათ, რომ ჩვენი პარტია არასოდეს ჩადგება ისეთ სახელისუფლებო პარტიათა რიგში, რომელთა არსებობის სამწუხარო პრაქტიკაც იყო ჩვენს ქვეყანაში. ბოლო ოცი წელია, მმართველ პარტიაში ერთიანდებიან არა იდეოლოგიური და ღირებულებითი ნიშნით, არამედ მას ეტმასნებიან გამდიდრებისა და ძალაუფლების მოპოვების სურვილით შეპყრობილი ადამიანები.

ასეთი პარტიები ყოველთვის ერთნაირ ბედს იზიარებენ – ხელისუფლებიდან წასვლისთანავე იშლებიან და მათი არსებობაც კი აღარავის ახსოვს. „ქართულმა ოცნებამ“ სხვა პრაქტიკა უნდა დაამკვიდროს – ხელისუფლებიდან წასვლის შემდეგაც უნდა გააგრძელოს

არსებობა და აქტიური პოლიტიკური საქმიანობა. ეს უნდა იყოს იდეოლოგიითა და ღირებულებებით შეკავშირებული ადამიანების ერთობა, რომელიც ოპოზიციაშიც სიცოცხლისუნარიანი იქნება.

სწორედ ეს განასხვავებს თანამედროვე დემოკრატიულ სახელმწიფოს სხვა ქვეყნებისგან და ჩვენ ვალდებული ვართ, ბოლოს და ბოლოს, ქვეყანა ახალ, ცივილიზებული ცხოვრების წესზე გადავიყვანოთ.

იმას კი, რაც ამ ბოლო დროს პარტიის რეგიონალურ სტრუქტურებში მოხდა, საერთო არაფერი აქვს დემოკრატიასთან. ყველამ კარგად იცით, რეგიონებში რამდენი ადამიანი გაწევრდა პარტიაში და მათ შორის რამდენი აღმოჩნდა თანამდებობისა და ხელმძღვანელობის მსურველი. ხალხი ერთმანეთს დაუპირისპირდა.

გარწმუნებთ, ძალადობით თავს ვერავინ დაიმკვიდრებს, ვერც ხელმძღვანელ პოსტებზე მოხვდებიან ძალაუფლების მოპოვების ჟინით შეპყრობილი ადამიანები. ურთიერთქიშპით მხოლოდ კნინდება და სახელი უტყდება ჩვენს პარტიას. ჩვენ ამას არ დავუშვებთ!

მე სრულიად შეგნებულად გადავწყვიტე, არ ჩავრეულიყავი ადგილებზე პარტიული სტრუქტურების ჩამოყალიბებაში. მე არ ვიკადრე, თბილისიდან დამენიშნა ხელმძღვანელი პირები. ეს საქმე ადგილებზე, რაიონულ ორგანიზაციებს მივანდე, თუმცა, ბევრ გაუგებრობას წავაწყდი. ამას, რასაკვირველია, თავისი ახსნა მოეძებნება.

არჩევნების შემდეგ ხალხმა ამოისუნთქა და თავისუფლად აზრის გამოთქმის საშუალება მიეცა, და ეს ყველამ ისე გამოხატა, როგორც შეძლო. სამწუხაროდ, მოხდა ისე, რომ ზოგმა ურთიერთობის ფორმად დაპირისპირება აირჩია, რაც არ შეგვშვენის.

ჩვენ დემოკრატიასა და თავისუფლებაში ცხოვრება უნდა ვისწავლოთ. ჩვენ დიდი ტრადიციების ქვეყანა ვართ, მაგრამ თითქმის არა გვაქვს დემოკრატიაში ცხოვრების გამოცდილება და პოლიტიკური კულტურა. ეს უნდა ვისწავლოთ ყველამ – ხელისუფლებამაც და ხალხმაც. ამ პროცესში შეცდომა ყველამ შეიძლება დაუშვას, მთავარია სწორი დასკვნები გამოვიტანოთ.

უნდა შევეხო იმ დაპირისპირებასაც, რომელიც ამ ბოლო დროს ჩხუბში და ცემა-ტყეპაში გადაიზარდა, მათ შორის პოლიტიკოსების გაწევ-გამოწევაც ვიხილეთ. კარგად უნდა გავაანალიზო, რა მოხდა და რასთან გვქონდა საქმე საჯარო ბიბლიოთეკასთან. მე კარგად მესმის აღელვებული, სააკაშვილისგან უფლებააყრილი ხალხის, რომელიც პროტესტის გამოსახატავად შეიკრიბა. ამას ხალხს, რა თქმა უნდა, ვერავინ დაუშლის. მაგრამ ის, რაც მერე მოხდა, ყოვლად დაუშვებელია.

ახლავე უნდა ვისწავლოთ ის, რომ უსამართლობას კანონის ძალით უნდა გავცეთ პასუხი და არა მუშტი-კრივით, რადგან თუ ადამიანებმა გადაწყვიტეს, რომ პირადად უნდა გაუსწორდნენ და ასე აგებინონ პასუხი მოძალადეს, – არაფერი გამოვა, ასე სახელმწიფო არ აშენდება.

ერისა და ქვეყნის კულტურა სწორედ აქ ვლინდება. სწორედ სახელმწიფო და კანონია ის ძალა, რომლის იმედიც უნდა ჰქონდეს კაცს. სახელმწიფომ, კანონმა და სასამართლომ უნდა აღადგინოს სამართლიანობა, თორემ, სხვანაირად, უსამართლობა ახალ უსამართლობას შობს, ძალადობა – ძალადობას, და ქიშპი და ანგარიშსწორება აღარ დამთავრდება, ქვეყანაში განუკითხაობა დაისადგურებს და ფეხზე ვეღარასოდეს წამოდგება.

მესმის, რომ ძნელია ამის მოსმენა იმ ხალხისთვის, რომელმაც რეჟიმის ძალადობა საკუთარ თავზე იწვნია, მაგრამ მერწმუნეთ, ეს თუ არ შევაჩერეთ, გაცილებით მძიმე შედეგებამდე მივალთ. მე გპირდებით, რომ სამართლიანობას აუცილებლად აღვადგენთ, მაგრამ ეს ცივილიზებულად უნდა მოხდეს, ისე, როგორც ეს ჩვენს დიდი კულტურის ქვეყანას ეკადრება. სამართლიანობის აღდგენას თავისი წესი და რიგი აქვს, დრო სჭირდება და რაც არ უნდა გვეჩქარებოდეს, ხელოვნურად პროცესებს ვერ დავაჩქარებთ.

ჩვენ არ დავუშვებთ რევანშს, მაგრამ გპირდებით, ყველა დამნაშავე აგებს პასუხს კანონის წინაშე! პირველი ნაბიჯები უკვე გადავდგით სამართლიანობის აღდგენის გზაზე. დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად, პარლამენტმა მიიღო ამნისტიის კანონი. ბევრი პატიმარი დაუბრუნდა ოჯახს. გათავისუფლდნენ პოლიტპატიმრებიც, ადამიანები, რომლებიც უბრალოდ ამა თუ იმ პარტიის მხარდაჭერისა თუ განსხვავებული აზრისთვის კრიმინალებად მონათლეს, ადამიანები, რომლებიც უსასტიკეს, შეურცხმყოფელ, არაადამიანურ პირობებში ამყოფეს, იძალადეს მათზე, ჯანმრთელობა შეურყიეს, ცხოვრება დაუნგრიეს.

ახლა პანიკას თესავენ, არიქა, ამნისტიის წყალობით გამოუსწორებელი დამნაშავეები გამოვიდნენ გარეთ და ქვეყანას კრიმინალების თარეში ემუქრებაო. ჩვენი სამართლდამცავი ორგანოები არ დაუშვებენ კრიმინალის გაზრდას და ვინც დააშავებს, ყველა სათანადოდ აგებს პასუხს.

პირობას გაძლევთ, რომ წინ აღვუდგებით ნებისმიერ უკანონობას. ბოლოს და ბოლოს, ჩვენს ქვეყანაში კანონის უზენაესობა უნდა დამყარდეს. ყველა ერთი იქნება კანონის წინაშე, მიუხედავად ეთნიკური, რელიგიური თუ სექსუალური კუთვნილებისა. პირობას გაძლევთ,

განსხვავებულობის გამო, თავისუფალი აზრისთვის, თავისუფალი სიტყვისთვის აღარავინ დაისჯება.

დემოკრატიულ სახელმწიფოს ვერ ააშენებ, თუ შენი მოსახლეობა დაშინებული და დაჩაგრულია. სახელმწიფოს სჭირდება სამოქალაქო საზოგადოება, მკვეთრად გამოხატული მისწრაფებებითა და ნებით, და, რაც მთავარია, თავისუფალი, ღირსეული, დაფასებული და აქტიური ადამიანი – მოქალაქე.

სწორედ ამიტომ, სახელმწიფოს მთავარი საზრუნავი და ღირებულება იქნება ადამიანი და მისი ფუნდამენტური უფლებების დაცვა და განმტკიცება.

ჩვენი უმთავრესი მიზანია – შეძლებისდაგვარად საუკეთესო პირობები შევუქმნათ თითოეულ ჩვენს მოქალაქეს უსაფრთხო ცხოვრებისათვის, ხელი შევუწყოთ მისი პიროვნების განვითარებას, რათა ღირსეულად შეძლოს ცხოვრება.

ჩვენ ვიქნებით იმის გარანტი, რომ ადამიანის ღირსებასა და პირად ცხოვრებას ვერავინ შეეხება, ვერც საზოგადოება და ვერც სახელმწიფო.

თავისუფალი ადამიანებისგან შემდგარი ქვეყანა მაშინ არის ძლიერი, როცა სახელმწიფოს აქვს მმართველობის ჩამოყალიბებული სისტემა, ისეთი სისტემა, რომელიც გამორიცხავს გადაჭარბებულ და უკონტროლო ძალაუფლების თავმოყრას ხელისუფლების რომელიმე რგოლში, რომელიმე თანამდებობის პირის ხელში. ასეთ სისტემად ჩვენს პარტიას ესახება საპარლამენტო რესპუბლიკა, ძლიერი მთავრობითა და იმ აუცილებელი პირობით, რომ ძალაუფლება გადანაწილდება საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლების შტოებს შორის.

საქართველოს დღევანდელი კონსტიტუცია შეიცავს გაუგონარ ნორმას – საქართველოს პრეზიდენტს შესაძლებლობა აქვს ისე დანიშნოს მთავრობა, რომ არ შეუთანხმოს პარლამენტს, ხალხს.

მსოფლიოს არც ერთ დემოკრატიულ ქვეყანაში არ არსებობს ამის პრეცედენტი, არსად არ ეძლევა ერთ კაცს იმის შესაძლებლობა, რომ ერთპიროვნულად დანიშნოს მთავრობა და ამით ხალხს მოჰპაროს ძალაუფლება. 9 წელი გვაცხოვრეს ქვეყანაში, რომელსაც კონსტიტუციით ჰქონდა გაფორმებული დიქტატურა.

ამიტომაა საჭირო საკონსტიტუციო ცვლილებები, რათა აღდგეს ქართველი ხალხის კანონიერი უფლება და დაუბრუნდეს წართმეული ძალაუფლება.

ასეთი ცვლილებების აუცილებლობა საპარლამენტო უმცირესობის წევრებსაც კარგად ესმით. ეს რომ ესმით, იმიტომაც შემოგვთავაზეს გონივრული წინადადება, რომ ოქტომბერში ასამოქმედებელი კონსტიტუციის რამდენიმე ნორმა ახლავე ავამოქმედოთ. მე მივესალმები ყველა გონივრულ აზრს, სახელმწიფოს ინტერესებისათვის გადადგმულ ყველა ნაბიჯს და მჯერა, რომ ამით მხოლოდ ჩვენი ხალხი და ჩვენი ქვეყანა მოიგებს.

თუმცა, ჩვენ არ ვაპირებთ სამომავლოდ ამაზე გაჩერებას. კონსტიტუცია აუცილებლად გადაიხედება, რადგან, სამწუხაროდ, ბევრ სხვა ხარვეზსაც შეიცავს.

კონსტიტუცია არ შეიძლება იყოს კონკრეტულ კაცსა და კონკრეტულ ვითარე-

დღეს ჩვენ მოვიწვიეთ „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ პარტიის ყრილობა იმისათვის, რომ კიდევ ერთხელ შევთანხმდეთ ჩვენი პარტიის პოლიტიკური საქმიანობის ძირითად ამოცანებზე და დავადასტუროთ, რომ კოალიციაში შემავალ სხვა პარტიებთან თანამშრომლობით ვაპირებთ ქვეყანაში ნამდვილი, ძლიერი დამოკრატია შევქმნათ და დავუბრუნოთ ადამიანს, ჩვენი ქვეყნის მოქალაქეს თავისუფლება და ღირსება, აღვადგინოთ და დავიცვათ მისი უფლებები, დავამყაროთ ქვეყანაში სამართლიანობა.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

გზად მომავლისკენ!

ბაზე მორგებული. კონსტიტუციაში არ შეიძლება იყოს ისეთი აბსურდული ჩანაწერი, რომელიც, მაგალითად, საფრანგეთის მოქალაქეს აძლევს სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის დაკავების უფლებას, ხოლო, თუ იგივე მოქალაქე ამავე დროს საქართველოს მოქალაქეც გახდება, მას უზღუდავს ამ უფლებას, ისევე როგორც პარტიის თავმჯდომარეობის უფლებას.

როგორც უკვე აღვნიშნე, ჩვენი პარტია საპარლამენტო რესპუბლიკის იდეის მომხრეა, თუმცა, კოალიციაში არსებობს სხვა მოსაზრებაც, კერძოდ, თავისუფალი დემოკრატები საპრეზიდენტო რესპუბლიკის მოდელს უჭერენ მხარს. აზრთა სხვადასხვაობა სავსებით ნორმალურია და ჩვენ შევთანხმდით, რომ ამ საკითხს კონსენსუსის გზით გადავწყვეტთ და კოალიციის წინასაარჩევნო პროგრამაშიც ზუსტად ასეთი ჩანაწერი გავაკეთეთ. საბოლოოდ, ხალხმა უნდა გადაწყვიტოს და ფართო შეთანხმების საგნად იქცეს კონსტიტუციის ის მოდელი, რომელსაც უახლოესი ათწლეულების განმავლობაში აღარ დასჭირდება გადახედვა.

ხალხის მონაწილეობის გარეშე არ გადაწყდება არც ერთი ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი საკითხი. ხალხმა უნდა დაიჯეროს, რომ შეუძლია გააკონტროლოს ხელისუფლება და მიიღოს მონაწილეობა ქვეყნის მართვაში. ხელისუფალთ კი უნდა ახსოვდეთ, რომ ისინი ხალხის მსახურები არიან და არა მათი უფროსები.

ჩვენ შევქმნით რეალურ თვითმმართველობას, რომელიც დემოკრატიული სახელმწიფოს ქვაკუთხედი და მთავარი ინსტიტუტია.

ქვეყნის განვითარებისთვის საჭიროა ხელისუფლების რეალური გადანაწილება ადგილებზე და არა დედაქალაქიდან პარლამენტისა და სხვა სახელმწიფო ორგანოების მექანიკური და გაუაზრებელი გადატანა.

ჩვენი მიზანია რეალური დეცენტრალიზაცია, რაც განვითარების საშუალებას მისცემს სოფლებსა და ქალაქებს. ვერა და ვერ ველირსეთ ნამდვილ თვითმმართველობას, — დამოუკიდებელს, ძლიერს, დემოკრატიულად არჩეულს.

მმართველობის ასეთი სისტემა თითოეულ ადამიანს განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას და ვალდებულებას აკისრებს.

პასუხისმგებლობა და თავისუფლება ერთმანეთისგან განუყრელია. ჩვენ უნდა ვისწავლოთ თავისუფლებაში ცხოვრება, უნდა ვისწავლოთ ჩვენს სოფელსა თუ ქალაქზე, ჩვენს ქვეყანაზე პასუხისმგებლობის აღება.

კარგად უნდა გავიაზროთ ის, თუ რას ნიშნავს თავისუფლება. თავისუფალი ჰქვია იმას, ვინც თავის გადაწყვეტილებას ემორჩილება; იმას, ვინც არ გაექცევა თავის არჩევანს, ანუ პასუხისმგებლობას იღებს თავის გადაწყვეტილებებზე.

ეს არის ქვეყნის დემოკრატიული მმართველობა, ასეთია ევროპული ქვეყნების ცხოვრების წესი და ჩვენც სწორედ აქეთკენ უნდა მივისწრაფოდეთ.

ჩვენი ქვეყნის სწრაფვა ევროპისკენ, არავის კუთვნილება არ არის. გაიხსენეთ ჩვენი ისტორია — საქართველოს საუკუნეების განმავლობაში ყოველთვის ევროპისკენ ეჭირა თვალი.

ევროპა საქართველოსთვის მხოლოდ პოლიტიკური არჩევანი არ იყო. ამას მოწმობს ჩვენი სარწმუნოება, კულტურა, ქართველი კაცის მსოფლმხედველობა. სულხან-საბას, ილიასა და ვაჟას ქვეყანაში ვერავინ დაიჩემებს, — ვერც ნაციონალური მოძრაობა და ვერც ქართული ოცნება, — რომ ევროპული გეზი მხოლოდ მისი კუთვნილებაა. ტყუილია, რომ ევროპული არჩევანი ნაციონალური მოძრაობის კუთვნილებაა, ტყუილია, რომ ვინმე აპირებს ამ გზიდან გადახვევას. ეს არჩევანი ქართველმა ხალხმა დიდი ხანია გააკეთა.

სწორედ ამ ისტორიული მიზნის მისაღწევადაა საჭირო ევროკავშირსა და ნატოში გაწევრება და ამ გზას ჩვენი ხელისუფლება უპირობოდ ადგას.

ამ გზაზე ყველაზე მეტად ჩვენი სტრატეგიული პარტნიორი ქვეყანა — ამერიკის შეერთებული შტატები გვეხმარება და ამისათვის კიდევ ერთხელ მადლობა უნდა გადავუხადო მას.

საქართველოსთვის მეტად მნიშვნელოვანია ურთიერთობა მეზობელ სახელმწიფოებთან, ჩვენი რეგიონის ქვეყნებთან. ამ ორი დღის წინათ წარმატებით ჩაიარა თურქეთში ვიზიტმა. ასეთივე წარმატებული იყო სომხეთსა და აზერბაიჯანში ჩვენი ვიზიტები. ურთიერთობის დალაგება დავიწყეთ რუსეთთან ეკონომიკური და კულტურული კავშირების აღდგენის მიმართულებით, პირველი ნაბიჯები უკვე გადაიდგა, ქართული პროდუქციისთვის იხსნება რუსული ბაზარი, რაც მეტად მნიშვნელოვანია ჩვენი მოსახლეობისთვის.

ჩვენი ქვეყანა უნდა გახდეს შეთანხმების და არა დაპირისპირების ადგილი, საქართველო ბუნებრივად არის დასავლურ და აღმოსავლურ ცივილიზაციათა და კულტურათა თანხმობის ადგილი, და ჩვენ უნდა ვიზრუნოთ, რომ საქართველო პოლიტიკური თანხმობის ადგილიც გახდეს.

ჩვენ პატივს ვცემთ ჩვენს ტრადიციებს. ტრადიცია კი, პირველ რიგში, ძველის შენახვასა და გაფრთხილებას გულისხმობს. მაგრამ ახლის შეთვისება და შექმნაც ქართული ტრადიციის განუყრელი ნაწილია. ეს ის ორი ძირითადი პრინციპია, ქართული კულტურის თვითმყოფადობასა და სიცოცხლისუნარიანობას რომ განაპირობებს.

ჩვენ ერთნაირად ღირსეული უნდა ვიყოთ არა მარტო როგორც ჩვენი ტრადიციების ერთგულებაში, არამედ სიახლეთა დამკვიდრებისას. უნდა გვახსოვდეს, რომ კრიტიკული აზროვნებით უნდა ვუდგებოდეთ როგორც ფსევდოტრადიციულობაში ჩაკეტილ, ქსენოფობიურ და ჰომოფობიურ მსოფლმხედველობას, ისე ყოველივე უცხოურის, ყოველივე ახლის დაუფიქრებელ, გაუაზრებელ მიმბაძველობას. საღი, დამოუკიდებელი აზროვნების გარეშე ვერასოდეს გავთავისუფლდებით ზედაპირულობისაგან.

მე მჯერა, რომ ქართულ ტრადიციაზე, ქართულ კულტურაზე აღზრდილი ადამიანი არ განასხვავებს სხვა ადამიანს თავისი ეროვნების ან რელიგიის გამო; ჩვენ სწორედაც რომ ქართულ ტრადიციას, მის საუკეთესო ნაწილს ვეყრდნობით, როდესაც ვამტკიცებთ, რომ ჩვენთვის, ქართველებისთვის, ჩვენი ქვეყნის ყველა მოქალაქე ჩვენი თანამოქალაქეა, სხვაგვარად ქართველები, პირველ რიგში, საკუთარ ტრადიციას და კულტურას ვუღალატებთ და დავამცირებთ.

ჩვენ უნდა გავხდეთ დემოკრატიული, სამართლიანი, მშვიდობიანი და ეკონომიკურად მიმზიდველი ქვეყანა. ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რომ ჩვენკენ მოვატრიალოთ ჩვენი აფხაზი და ოსი ძმები, ომი უკვე გამოვიარეთ და კარგად გვესმის მშვიდობის ფასი. ჩვენ უნდა გამოვნახოთ ერთმანეთის გულებისკენ მიმავალი გზები, ერთმანეთის პატიება უნდა შევძლოთ და ავაშენოთ საერთო სახელმწიფო, რომელიც სამშობლო იქნება ყველასათვის.

აი, ეს გახლავთ ის ძირითადი ღირებულებები და პრინციპები, რომლებსაც ჩვენი პარტია „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველო“ ეფუძნება.

ახლა მოკლედ უნდა შევეხო იმას, თუ რა გავაკეთეთ ხელისუფლებაში მოსვლიდან დღემდე და როგორ ვასრულებთ იმას, რასაც დავპირდით ხალხს და რასაც მხარი დაუჭირა ჩვენმა ამომრჩეველმა.

მე დღეს შემიძლია განვაცხადო — მთავრობა თავდაუზოგავად მუშაობს და ამ მუშაობის შედეგებს სულ ცოტა ხანში ყველა იგრძნობთ.

ჩვენ შევამცირეთ ათეულობით მილიონი გაუმართლებელი ხარჯი, აგარაკებსა და ათასგვარ ფუფუნების საგნებში საერთოდ ავკრძალეთ ბიუჯეტის ფულის ხარჯვა.

ვმუშაობთ 24 საათი, მრავალი მიმართულებით — მივხედეთ ჩვენს სოფლებს, დავიწყეთ საგაზაფხულო სამუშაოები, მივხედეთ განათლებას — გავზარდეთ სტუდენტების დაფინანსება, 14 ფაკულტეტი იქნება უფასო, რაც ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფომ დაიწყო ინვესტიციების ჩადება განათლებაში, ვაზღვევთ ყველა მოქალაქეს, გავზარდეთ პენსიები და სოციალური დახმარებები, შემცირდა გადასახადები, დაიწყო ფასების კლება, შევქმენით 3 საინვესტიციო ფონდი, რომელიც ქვეყნის ეკონომიკის ფეხზე დაყენებას მოხმარდება, და მრავალი სხვა, რაზეც აღარ შევაჩერებ თქვენს ყურადღებას.

ქვეყნის ფეხზე დაყენებას სწორი ეკონომიკური პოლიტიკით შევძლებთ. ხელისუფლების წნეხისაგან თავისუფალი ბიზნესი საშუალო კლასის ჩამოყალიბებას შეუწყობს ხელს და ეს არის ჩვენი მთავარი ამოცანა. ბიზნესთან დამოკიდებულება ყველაზე კარგად წარმოაჩენს ხელისუფლების რეალურ სახეს.

რამდენიმე დღეში ბიზნესმენებთან მექნება შეხვედრა და იქ დეტალურად განვიხილავთ ყველა საკითხს. მაგრამ აქედანაც უნდა ხმამაღლა მივმართო ჩვენს ბიზნესმენებს: თქვენ გაქვთ სრული თავისუფლება, სახელმწიფო არ ჩაერევა თქვენს საქმიანობაში და არც არავის მისცემს ამის უფლებას.

დაბოლოს, მივმართავ ჩვენს ახალგაზრდებს, ჩვენს შვილებს, ქვეყნის მომავალს, — ბევრი სამშობლოში იღებთ ცოდნას, ზოგი თქვენგანი საზღვარგარეთ სწავლობს, თქვენ ხართ ჩვენი ღირსეული წინაპრების საქმის გამგრძელებლები და დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ სამშობლოს მოახმართ მთელს თქვენს ნიჭს, ცოდნას, ახალგაზრდულ ენერგიასა და შემართებას.

ჩვენ კი, გპირდებით, რომ თქვენთან ერთად ისეთ სამოქალაქო საზოგადოებას შევქმნით, ისეთ სახელმწიფოს ავაშენებთ, რომელიც ყველას მისცემს საკუთარი შესაძლებლობების რეალიზების საშუალებას — ეს კი, ყველაზე მნიშვნელოვანია ადამიანისთვის.

ახლა კიდევ ერთი გადამწყვეტი ბრძოლა გვაქვს ყველას ერთად მოსაგები — ბრძოლა საქართველოს კეთილდღეობისათვის, ბრძოლა იმისათვის, რომ ერთხელ და სამუდამოდ დავძლიოთ გაჭირვება, რომ ყველა ოჯახი გაიმართოს წელში და ღირსეულად იცხოვროს თავის სამშობლოში. ამისათვის უნდა ვიშრომოთ, ვიშრომოთ თავდადებულად და მჯერა, რომ ერთად გავიმარჯვებთ და ავაშენებთ ჩვენს საოცნებო ქვეყანას.

გმადლობთ ყურადღებისთვის.

◎ პარტიებსა და მოძრაობებში

ოცნება მძაფრდება...

ბიძინა ივანიშვილი: არნახული ეკონომიკური აღორძინება გველოდება 2-3-4 წლის შემდეგ. ცოტაც გავუძლოთ...

არ ვიცი, როგორია შენი კონკრეტული ოცნება, თუმცა, ზოგადად, ყველა ოცნება საბოლოოდ საკუთარი თავის, ოჯახისა და ქვეყნის კეთილდღეობის სურვილის ახდენისკენ მიდის. ასეთი ოცნების ფრთაშესხმის პირობა კი არაერთხელ დადო ბიძინა ივანიშვილმა. ასე იყო შაბათს, „ქართული ოცნების“ რიგგარეშე ყრილობაზეც, როცა ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში 2000 -ზე მეტ დელეგატსა და მოწვეულ საზოგადოებას განუცხადა: „ხალხი გვენდო, ხმა მოგვცა და ვალდებული ვართ, გავამართლოთ ეს ნდობა!“ პრემიერ-მინისტრი საკუთარი პარტიის ყველაზე მასშტაბურ შეკრებაზე შემართული და გულწრფელი ჩანდა.

ყრილობა ზუსტად დათქმულ დროს დაიწყო, საკმაოდ მკაცრი ტექნიკური პროცედურების გავლის შემდეგ, დელეგატები მთავარი კარიდან შევიდნენ, ჟურნალისტები კი უკანა კარიდან, ჩვენთვის განკუთვნილ სპეციალურ ლოჟაში მოვხვდით. თითქმის ყველა გამორჩეული ფიგურა და ლიდერი ბიძინა ივანიშვილის რიგში მოთავსდა, მეულლის თანხლებით, სახეზე ღიმილით, ცოტა არ იყოს გადაჭარბებულად პათეტიკური პოზით... მათ შორის თვალშისაცემად არ იყვნენ კობა დავითაშვილი და ირაკლი ალასანია. როგორც ამბობენ, ობიექტური მიზეზების გამო. თუმცა, გუნდურობით უკმაყოფილო კობა დავითაშვილი, არ არის გამორიცხული, შეგნებულად არ მისულიყო თანაგუნდელთა ყრილობაზე(!)

პარტიის თავმჯდომარე მანანა კობახიძე ამჯერად წამყვანის ამპლუაში მოგვევლინა, საკმაოდ ვრცელი და მრავლისმომცველი ტექსტი „ქართული ოცნების“ განვლილი გზის მიმოხილვას დაუთმო და საკუთარ თანამდებობასაც ასე დაემშვიდობა: „ქართული ოცნებისა“ ბევრს არ სჯეროდა თავიდან, მაგრამ ჩვენ გავიმარჯვეთ და დავიწყეთ ოცნებების რეალურად ასრულება. საზოგადოებას სჯერა ჩვენი და მზად ვართ, დავიწყოთ ყველა დანაპირების განხორციელება“. მანანა კობახიძემ კოჰაბიტაციაც ახსენა, თუმცა, იქვე დასძინა, რომ ეს პროცესი რთული აღმოჩნდა: „კოჰაბიტაცია რთული აღმოჩნდა. თანამდებობა არ არის იმის გარანტია, რომ ვინმეს ვაპატიოთ დანაშაული. თანამდებობა არავის უქმნის იმუნიტეტს. გაუგებარია ნაციონალური მოძრაობის რიტორიკა, როცა ისინი პოლიტიკურ დევნაზე ლაპარაკობენ. საქმე ეხება კონკრეტულ დანაშაულებს: მკვლელობას, წამებას, ადამიანის უფლებების შელახვას. რაც უნდა გვაკრიტიკოს ნაციონალურმა მოძრაობამ, ჩვენ ხალხის ნდობით აღჭურვილი მთავრობა ვართ და ოცნებებს აუცილებლად ავასრულებთ. რთულია, როცა პრეზიდენტი ხალხის არჩევანს უდგას ოპოზიციაში. ხელისუფლებაში ყოფნა არის არა ჩვენი თვითმიზანი, არამედ ეს არის საშუალება — უკეთესობისკენ შევცვალოთ ცხოვრება,“ — დასძინა მან.

როგორც აღმოჩნდა, ყრილობაში მონაწილეობის სურვილი გაცილებით მეტს ჰქონია, მაგრამ მხოლოდ რამდენიმე დელეგატს ერგო ამის პატივი. ბევრი ნაწყენი დარჩა, რის გამო ბოდიში მოიხადეს დარბაზში. თუმცა, მათი ხმა ვერ მისწვდა იმ რამდენიმე ათეულ ადამიანს, რომლებიც ფილარმონიის კიბეებთან პრესკონფერენციის გამართვით იმუქრებოდნენ და ამაოდ ცდილობდნენ დარბაზში შეღწევას. ეს ის ადამიანები იყვნენ, რომლებიც მიიჩნევდნენ, რომ უსამართლო პრინციპით აირჩიეს პარტიის დელეგატები რუსთავში. რეგიონებში ორგანიზაციის დაფუძნებისას არსებულ სირთულეებს ვერც მანანა კობახიძემ აუარა გვერდი. ეს იმ მიზეზით ახსნა, რომ „ქართულ ოცნებას“ მაღალი რეიტინგი აქვს და ბევრია პარტიაში გაწევრების მსურველთა რიცხვი. 62 ქალაქში უკვე დაკომპლექტებულია პარტიის ხელმძღვანელობა, სულ რამდენიმე რაიონი დარჩა, მათ შორის რუსთავი, წაღვერი, ბოლნისი, ზოგან დროებით არიან დანიშნული თავმჯდომარეები და მალე დაიწყება არჩევის პროცესი.

პარტიის ყრილობაზე დამტკიცდა ახალი წესდება, რომლის თანახმადაც პარტიის მართვას ახორციელებს აღმასრულებელი კოლეგიური ორგანო — პოლიტსაბჭო. მისი წევრებიც თითქმის ერთხმად აირჩიეს ყრილობის დელეგატებმა: **ელისო ჩაფიძე, ეკა ბესელია, ირინა იმერლიშვილი, მანანა კობახიძე, გუგული მაღრაძე, ივანე კიღურაძე, ირაკლი ტრიპოლსკი, ზაქარია ქუცნაშვილი, ირაკლი სესიაშვილი, თამაზ ავდალიანი, დავით საგანელიძე, ზვიად კვაჭანტირაძე, ალი ბაბაევი, მურმან დუმბაძე, ნოდარ ხადური, კახი კალაძე, ზურაბ აზმაიფარაშვილი, დავით ფაცაცია, ირაკლი ჟორჟოლიანი, გივი ჭიჭინაძე, უჩა მამაცაშვილი.** ეს უკანასკნელი უცხოეთში მცხოვრები ბიზნესმენია, რომელსაც დიდი დამსახურება აქვს პარტიის წინაშე.

იხ. 4 გვ.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ პარტიებსა და მოძრაობებში

ოცნება მძაფრდება...

(მესამე გვერდიდან)

და ყველაზე საინტერესო – პარტიის თავმჯდომარის არჩევის პროცესიც დადგა. პარტიის სულისჩამდგმელი და იდეოლოგი, სხვა ვინ უნდა იყოს თავმჯდომარე?! ჩვენი გამარჯვება განპირობებული იყო ბიძინა ივანიშვილის ფაქტორით, – აღნიშნა მანანა კობახიძემ და ტაშმაც არ დააყოვნა... თუმცა, ვინაიდან ბიძინა ივანიშვილი საფრანგეთის მოქალაქეა, მას პარტიის ხელმძღვანელობის უფლება არ აქვს. არც ამ ლაფსუსის გამოსწორება აღმოჩნდა ძნელი, მარტივად დაამატეს სიტყვა „საპატიო“ და პრობლემაც მოგვარდა.

პრემიერ-მინისტრმა უპირველესად კოალიციის ლიდერებსა და საკუთარ თანამებრძოლებს გადაუხადა მადლობა და ის სირთულეები გაიხსენა, რაც მათ კოალიციას შეექმნა საარჩევნოდ: „მოვახერხეთ და გავიმარჯვეთ, – განაცხადა ივანიშვილმა, – ამიტომაც ვალდებული ვართ, მოქალაქეებს დავუბრუნოთ ღირსება და რაც შეიძლება საუკეთესო პირობები შევუქმნათ.“ მისი თქმით, ხალხს სიცხადე სჭირდება. ამიტომ „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“ ისეთ პარტიად უნდა იქცეს, სადაც იდეოლოგიის გარშემო გაერთიანდებიან ადამიანები, და არ უნდა გახდეს ისეთი სახელისუფლებო პარტია, რომელსაც გამდიდრების მიზნით მიეტმასნებიან ადამიანები. ამ კონტექსტში მან წინა ხელისუფლება ახსენა და ელიტური კორუფციის გამო გააკრიტიკა.

ბიძინა ივანიშვილი 8 თებერვლის მოვლენებსაც გამოეხმაურა და დაგმო ის, რაც ეროვნულ ბიბლიოთეკასთან მოხდა: „კარგად მესმის ხალხის პროტესტისა, მაგრამ ის, რაც მერე მოხდა, დაუშვებელია. უსამართლობა შობს უსამართლობას. გპირდებით, რომ სამართლიანობას აუცილებლად აღვადგენთ, მაგრამ ეს მოხდება ცივილიზებულად. არ დავუშვებთ რევანშს, თუმცა, ყველა დამნაშავე აგებს პასუხს კანონის წინაშე“

პარტიის საპატიო თავმჯდომარემ იმ მიღწევებზეც ისაუბრა, რაც მას პოზიტიურად მიაჩნია. ესენია საყოველთაო ამნისტია, თავისუფალი აზრის დამკვიდრება, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა. მისი თქმით, სამართალდამცავები წესრიგსა და ადამიანის უსაფრთხოებას დაიცავენ და საშიში არაფერია. როგორც ივანიშვილი ირწმუნება, საკონსტიტუციო ცვლილებები, რომლებიც ოქტომბერში უნდა ამოქმედებულიყო, შესაძლოა, უფრო ადრე შევიდეს ძალაში: „9 წელიწადი გვაცხოვრეს ქვეყანაში, სადაც დიქტატურა კონსტიტუციით იყო გაფორმებული. ახლავე უნდა ავამოქმედოთ რამდენიმე კონსტიტუციური ნორმა. ჩვენ პარტიას სამომავლოდ უკეთესად ესახება საპარლამენტო რესპუბლიკა, თუმცა, კოალიციაში შემავალი „თავისუფალი დემოკრატები“ საპრეზიდენტო რესპუბლიკას ემხრობიან. ამაზე უნდა ვიმსჯელოთ და შევთანხმდეთ“. ივანიშვილის აზრით, აუცილებელია ქვეყნის რეალური დეცენტრალიზაცია, როცა ხელმძღვანელი პირები ისწავლიან საკუთარ ქალაქსა თუ სოფელზე პასუხისმგებლობის აღებას“. ხელისუფალთ უნდა ახსოვდეთ, რომ ისინი ხალხის მსახურები არიან და არა უფროსები,“- აცხადებს ის.

„ქვეყნის ევროპული არჩევანი, ეს ის გზაა, რომელიც საბას, ილიას, ვაჟას არჩევანია და არა ნაციონალების ან ჩვენი, – აღნიშნა ივანიშვილმა, – ვერავინ დაიჩემებს, რომ ევროპული გეზი ვინმეს კუთვნილებაა. არჩევანი დიდი ხანია ქართველმა ხალხმა გააკეთა და ტყუილია, თითქოს ვინმე ფიქრობდეს ამ გეზიდან გადახვევას. ჩვენ ვადგავართ ევროკავშირსა და ნატოში გაწევრების გზას და ამაში გვეხმარება ამერიკის შეერთებული შტატები. მნიშვნელოვანია, რომ ურთიერთობის დალაგება დავიწყეთ რუსეთთან. გაიხსნება რუსეთის ბაზარი ქართული პროდუქციისთვის. ყველგან წარმატებული ვიზიტი გვქონდა.“

პრემიერ-მინისტრი ირწმუნება, რომ მთავრობა 24-საათიან რეჟიმში მუშაობს და ზრუნავს ხალხის კეთილდღეობაზე. მას იმედის მომცემად ესახება ის, რომ მოხერხდა ხარჯების 10 მილიონით შემცირება, რომელსაც წინა მთავრობა ფუფუნებისთვის ხარჯავდა: „საქართველოს ფეხზე დაყენებას ეკონომიკური განვითარებით შევძლებთ. არნახული ეკონომიკური აღორძინება გველოდება 2-3-4 წლის შემდეგ. ცოტაც გავუძლოთ, კიდევ ერთი გადამწყვეტი ბრძოლა გველოდება. ჩვენ აუცილებლად ავახდენთ ილიას ოცნებას და ჩავდგებით ევროპული ქვეყნების რიგში,“- პირობას დებს ივანიშვილი და...

ოცნებაც კიდევ უფრო გვიმძაფრდება...

თეა მოსია

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

ჰაკერის წინააღმდეგ აღძრული საქმე ქართველ პოლიტიკოსთა თანამიმდევრულობას კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს?

ბოლო თვეებში, საქართველოში არ წყდება პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის მთავრობის კრიტიკა, რომელიც თავისი ყოფილი მოწინააღმდეგეების სამართლებრივი დევნის დროს თითქოს არა იმდენად მტკიცებულებებით ხელმძღვანელობს, რამდენადაც პოლიტიკური მოსაზრებებით. 19 წლის პროგრამისტის ვასილ ჯამალაშვილის საქმე, ამგვარი კრიტიკის წყაროს ილუსტრაციისთვის გამოდგება.

საქართველოს შსს-ს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის ყოფილ თანამშრომელ ვასილ ჯამალაშვილს, ბრალად ედება ვირუსული პროგრამის შექმნა, რომელიც 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ თითქოს ივანიშვილის და მისი კოალიცია „ქართული ოცნების“ თვალთვალისთვის გამოიყენეს. იმ შემთხვევაში, თუკი მას დამნაშავედ ცნობენ უკანონო თვალთვალსა და მოსმენაში, ახალგაზრდას 8-წლიანი პატიმრობა ემუქრება.

გასული წლის ნოემბერში, ვასილ ჯამალაშვილმა აღიარა, რომ მონაწილეობდა სამინისტროსთვის ვირუსული პროგრამის შექმნაში, რომელსაც გააქტიურების შემთხვევაში გარკვეულ კომპიუტერებში მიკროფონების და ვიდეოკამერების ჩართვა შეუძლია. გარდა ამისა, ის კლავიატურიდან შეყვანილი ინფორმაციის ჩაწერის და დოკუმენტების გახსნის შესაძლებლობას იძლევა. ვასილ ჯამალაშვილის თქმით, ის დარწმუნებული იყო, რომ კომპიუტერები, რომელშიც ამ პროგრამას ჩატვირთავდნენ, რუსეთში იყო.

პროკურატურის ვერსიით, ამის შედეგად, ყველა კომპიუტერი, რომელიც ჯამალაშვილის პროგრამით დავირუსდა (Apple Macintosh-იც და IBM PC-იც), ან ბიძინა ივანიშვილთან, მათ შორის მისი თბილისის რეზიდენციის ტექნიკასთან, ან ივანიშვილის კოალიცია „ქართულ ოცნებასთან“ იყო დაკავშირებული. „ქართული ოცნება“ იმ დროს ოპოზიციური მოძრაობა იყო, რომელიც მიხეილ სააკაშვილის „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ პარლამენტის გაკონტროლებაში ეცილებოდა.

ადვოკატ გიორგი ფოფხაძის მტკიცებით, მის კლიენტს ვირუსული პროგრამის შექმნა აიძულა შინაგან საქმეთა ყოფილმა მინისტრმა ბაჩო ახალაიამ და მისმა მოადგილემ ვაჟა ლილუაშვილმა. **„მათ უთხრეს ბავშვს (ჯამალაშვილს), რომ რუსები მოდიან, და „თუკი ჩვენ მათ არ შევაჩერებთ, თუკი ამას არ გავაკეთებთ“... (ამას ცუდი შედეგები მოჰყვება),** – აცხადებს ადვოკატი.

ბაჩო ახალაია, რომელიც ამჟამად პატიმარია და სასამართლო პროცესს ელოდება (მას ბრალი ედება წამებასა და სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებაში), იმ პირთა სათავეშია, რომელთა საქმეებსაც პროკურატურა იძიებს.

იანვარში, EurasiaNet.org-ს ადვოკატმა ფოფხაძემ უამბო, რომ ვასილ ჯამალაშვილი ძველ სამუშაოზე დაბრუნებასთან დაკავშირებით შსს-სთან მოლაპარაკებებს აწარმოებდა. სამინისტრომ ადვოკატის განცხადებაზე კომენტარი არ გააკეთა, და მიზეზად აღნიშნულ საქმეზე გამოძიების მიმდინარეობა დაასახელა. შემდეგ ფოფხაძემაც უარი თქვა ინტერვიუზე. შესაბამისად, ჯამალაშვილიც, რომელიც იანვარში, ჟურნალ „ცხელი შოკოლადის“ ყდაზე მოხვდა, როგორც ერთ-ერთი საქართველოს „2012 წლის ადამიანებს“ შორის, დღეს ჩრდილში ყოფნას ამჯობინებს. როდესაც EurasiaNet.org-მა მას ინტერვიუ პირველად სთხოვა, მან უარი თქვა, მეორე ჯერზე საერთოდ გაქრა.

იხ. 8 გვ.

◎ ალიან-ჩალიანი

მოვუსმინოთ და გავითვალისწინოთ არასამთავრობოთა რჩევები

სამოქალაქო საზოგადოება არის სარკე იმისა, თუ როგორ მუშაობს ქვეყანა, – ამის შესახებ პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა „შერატონ მეტეხი პალასში“ განაცხადა, სადაც სამი არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ მთავრობის 100-დღიანი მუშაობის ანგარიშის პრეზენტაცია შედგა.

ივანიშვილის განმატებით, ხელისუფლება ყოველთვის ყურადღებით მოუსმენს არასამთავრობო ორგანიზაციების ანგარიშებს და მათ შენიშვნებს გაითვალისწინებს.

მისივე განმარტებით, აქვთ განზრახული, რომ არასამთავრობო სექტორთან სისტემატურად გამართონ შეხვედრები.

– რადგან დღევანდელი ოპოზიცია ვერ ახერხებს კონსტრუქციულობას, თქვენი კრიტიკის იმედი გვაქვს, ამიტომაც განზრახული გვაქვს, რომ თქვენთან შეხვედრის პერიოდულობა განისაზღვროს არანაკლებ ერთი თვისა, ჩვენ ვსაჭიროებთ თქვენი მხრიდან კონსტრუქციულობას. თუ ოპოზიცია მოახერხებს გახდეს კონსტრუქციული, მაშინ ჩვენი შეხვედრის პერიოდულობა შეიძლება გადაიწიოს, – მიმართა ივანიშვილმა არასამთავრობოთა წარმომადგენლებს.

მთავრობის 100-დღიანი მუშაობის ანგარიში მოამზადეს – ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ, „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველომ“ და „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებამ“. ღონისძიებას, მთავრობის წევრების გარდა, საპარლამენტო უმცირესობის წევრებიც ესწრებოდნენ.

ამნისტიის კანონთან დაკავშირებით კითხვები მეც მქონდა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, პატიმრების უმრავლესობა სასჯელს უკანონოდ იხდიდა, – ასე პასუხობს პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი არასამთავრობო ორგანიზაციების ანგარიშს, რომელშიც ამნისტიის კანონსა და უშუალოდ პოლიტპატიმართა სტატუსის მქონე პირებთან დაკავშირებით კრიტიკული შენიშვნებია გამოთქმული. „აბსოლუტურად გეთანხმებით, რომ კითხვები დარჩა. კითხვები მქონდა პირადად მეც, მაგრამ ამ პროცესში აბსოლუტურად არ ჩავრეულვარ. როგორიც გამოვიდა, ასეთი გამოვიდა. კითხვები არსებობს, მაგრამ დარწმუნებული ვარ, პატიმრების უმრავლესობა სასჯელს უკანონოდ იხდიდა“, – აღნიშნა ბიძინა ივანიშვილმა.

პრემიერის განმარტებით, მიუხედავად იმისა, რომ ეს პროცესი უხარვეზო არ იყო და იდეალურად ვერ წარიმართა, მაინც ვფიქრობს, რომ საერთო ჯამში მასშტაბური ამნისტია უნდა განხორციელებულიყო.

ამასთან, ივანიშვილის თქმით, წინა ხელისუფლებისგან ძალიან რთული მემკვიდრეობა მიიღეს და გასულ 3 თვეში ყველა პრობლემის უხარვეზოდ გადაჭრა შეუძლებელია.

– არ ვაპირებ ყოფილი მთავრობის კრიტიკას, ვაპირებ, პასუხი გავცე კრიტიკულ შენიშვნებს, მაგრამ მინდა შეგახსენოთ, რომ რთული მემკვიდრეობის პირობებში ბევრი საკითხის სამ თვეში გადაჭრა შეუძლებელი იყო. გეთანხმებით და მეც არ ვარ კმაყოფილი ბევრი საკითხით, მაგრამ სამი თვე ყველა პრობლემის სრულად აღმოსაფხვრელად ძალიან ცოტა დროა, – აღნიშნა ბიძინა ივანიშვილმა.

პრემიერმა ყურადღება გაამახვილა, აგრეთვე, სამსახურიდან გათავისუფლებულთა პროტესტზე.

მისთვის გაუგებარია, რატომ ჩნდება შეკითხვები საჯარო სამსახურიდან თანამდებობის პირების საკუთარი განცხადების საფუძველზე გათავისუფლების შესახებ.

ამასთან, პრემიერ-მინისტრის თქმით, ეთანხმება მოსაზრებას, რომ ხელმძღვანელობის ცვლილებამ ამა თუ იმ უწყებიდან თანამშრომელთა გადინება არ უნდა გამოიწვიოს.

ამასთან, მან საკონსტიტუციო ცვლილებებზეც გააკეთა კომენტარი და აღნიშნა, რომ ამის აუცილებლობას ყველა აღიარებს.

– როგორც ექცეოდნენ კონსტიტუციას, ესაა სირცხვილი. ჩემს შემთხვევაში კონსტიტუცია ისე დაიყენეს ყირაზე, რომ მთავრობას ვმართავ როგორც ფრანგი და ევროპელი, – აღნიშნა ივანიშვილმა.

პრემიერ-მინისტრმა თვითმმართველობებთან მიმართებაში „ჩარევის უბადრუკ შემთხვევებზეც“ ისაუბრა.

– თვითმმართველობებთან დაკავშირებით შექმნილი ვითარება არის ის, რაც ყველაზე მეტად მაწუხებს. ამ ცვლილებებს დიდი ემოციური ფონი ახლდა და შევეცადოთ, ერთად გავაკეთოთ ანალიზი. ჩემი პოზიცია თავდაპირველად იყო, რომ არ ჩავრეულიყავით ამ პროცესში და ყოფილიყვნენ ძველი გამგებლები. ეს ჩვენთვის უკეთესიც იყო, რადგან მმართველ გუნდს პასუხისმგებლობა ისედაც დიდი აქვს, მაგრამ დამარწმუნეს, რომ ჩაურევლობა იქნებოდა უფრო უარესი, თუმცა, სახეზე მივიღეთ კოალიციის რამდენიმე წევრის ჩარევის უბადრუკი შემთხვევები. ბუნებრივია, ეს არ იწვევს ჩემს კმაყოფილებას, – განაცხადა მან.

ინტერპრესი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ორთვლიანი ეტლი ხელისუფლებისთვის,

ანუ სიტყვა, რომელსაც „ქართული ოცნების“ ყრილობაზე ვიტყოდი

მართალია, წერტილი ჩემს აქტიურ ჟურნალისტურ საქმიანობას ჯერ კიდევ 2007 წლის 7 ნოემბრის ცნობილი მოვლენის მეორე დღეს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ დაბეჭდილი წერილით დავუსვი, მაგრამ პროფესიულმა სინდისმა არ მომასვენა და ხელისუფლებას ზემოხსენებულ დროს კიდევ ერთხელ წერილით: „არ მინდა, რომ ჩემს ქვეყანას გასაპანღურებელი პრეზიდენტი ჰყავდეს! “ – შევეხმიანე. ეს იყო და ეს, ჩემი ქვეყნის სამსახური პედაგოგობით გავაგრძელე.

უსაგნო აღფრთოვანება არც შარშან, ოქტომბერში დამმუფლებია, როცა არჩევნებში კოალიცია „ ქართულმა ოცნებამ“ გაიმარჯვა, ანუ თქვენ, ბატონო ბიძინა, და ვაღიარებ, ხმა არც ერთი პარტიისთვის არ მიმიცია, რადგან ხელისუფლებასაც და ოპოზიციასაც კარგად ვიცნობდი, თქვენ კი არ გიცნობდით და „პოსლეზე“ ნდობა, როგორც ერთხელ უკვე გამოცდილი, გაუმართლებლად მივიჩნიე. უსათუოდ იცით, ხალხი ბრძენია, გვერდში დგომაც გულიანი იცის და თავგანწირვაც, გაბრიყვებას კი არავის შეარჩენს, გვერდიდან გამოცლას არავის აპატიებს და, როგორც აგამაღლებს, ისევე დაგცემს... სამწუხაროდ, ესეც უკვე მერამდენედ გამოვცადეთ.

მაინც რამდენი სიბინძურე და უაზრობა უნდა გამოვიაროთ, რომ ჭეშმარიტება შევიცნოთ და სწორ გზას დავადგეთ?

აქამდე ვდუმდი-მეთქი, ვთქვი და ვდუმდი არა იმიტომ, რომ არაფერი მქონდა სათქმელი ან ზოგიერთივით ბუჩქებიდან ვიმზირებოდი და ზურგსუკან ორ დროშას ვმალავდი, რომ შესაფერისი დროისა და ვითარების შესაბამისად ერთი ან მეორე ამეფრიალებინა, არამედ იმიტომ, რომ, ჩემი პროფესიის დანიშნულებიდან გამომდინარე, იმ პასუხისმგებლობის სიმძიმე ვიცი, რომელიც საკუთარი სიტყვის გამო მეკისრება. ჟურნალისტი, ძირითადად, სიტყვის მსახურია, თუ მას რაიმე ევალება, უწინარეს ყოვლისა, თქმის ოსტატობაა, ანუ – რა თქვას, რატომ თქვას, როგორ თქვას და როდის თქვას (ვფიქრობ, არც პოლიტიკოსებს აწყენდა ამის გათვალისწინება, ეს ისე, სხვათა შორის). ჟურნალისტს ემოციებისა აყოლა არ ეგების, იგი ცივი გონებით უნდა სჯიდეს, რათა მართებულ დასკვნამდე მივიდეს. და, რაც მთავარია, იცოდეს, რისთვის იბრძვის და რას აძლევს ეს ბრძოლა მის ქვეყანას, ხალხის სულსა და ზნეობას.

რაშიც გინდათ ჩამითვალეთ, არც ისეთი მშიშარა ვარ, მეპირფერა და არც ისეთი გულადი, ჩემი ოჯახის ბედი სასწორზე დამედო. მომავალი თაობის აღზრდაში ჩემი მოკრძალებული წვლილის შეტანა ჩემი ქვეყნისთვის მხარში დგომად მივიჩნიე და ჟურნალისტიკიდან უხმაუროდ წავედი. რა თქმა უნდა, არავის მოუნაკლისებივარ, არც მე და ჟურნალისტიკას დამშვიდობებული არაერთი სხვა ჩემი ის კოლეგა, რომელიც „ვინც არ არის კახაბერი“ ვერ იტყოდა „კახაბერად. რა თქმა უნდა, დარჩნენ რისკიან-გაბედულუშიშარნიცა და თავგადაკლული მეხოტბენიც, ეს კანონზომიერი მოვლენაა და ასეც უნდა მომხდარიყო. სამწუხარო ის არის, ლერწამივით მოქანავენიც რომ შეინიშნებიან...

ჟურნალისტიკა ლამის წალეკოს დილეტანტიზმმა, სადღაა ღრმა, შთამბეჭდავი პუბლიცისტური აზროვნება, რომელიც აუდიტორიაზე ზემოქმედებით ჯანსაღი საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებას შეუწყობდა ხელს? ვფიქრობ და მინდა, მჯეროდეს, რომ თქვენც ამაზე წუხართ და სწორედ ესაა თქვენი გაღიზიანების მიზეზი, რომელსაც აშკარად გამოხატავთ პრესკონფერენციებსა თუ ბრიფინგებზე არაერთი ჟურნალისტის შეკითხვა-ჩაძიების დროს. დიახ, ეს და არა თითის დაქნევა, აქაოდა როგორ მიბედავთო! თუმცა, გავკადნიერდები და გეტყვით: იმ მომენტში თქვენი გამომეტყველება არა მხოლოდ თითის დაქნევაზე მიგვანიშნებს, არამედ, ბოდიში და, ფეხის დაბაკუნებაზეც. სხვისა არ ვიცი და იმ ჟურნალისტებს, რომლებსაც, 90-იანი წლებიდან მოყოლებული, ბარე სამი (დროებითს თუ არ ჩავთვლით) ხელისუფლება მაინც გამოგვიცვლია, ვინ რას და რატომ ამბობს, ამის ამოცნობა არ გვიჭირს. მე თუ მკითხავთ, თქვენი რეაქცია, როგორც პოლიტიკოსისთვის, არცთუ უმნიშვნელო ნაკლია. არ უნდა დაგეტყოთ, თორემ უვიცობა და არაპროფესიონალიზმი გასაბრაზებელიც არის და აღმაშფოთებელიც. ამაში კი ისინი ტყუიან, ვინც თქვენთან სასაუბროდ, ბოდიში და, პირზე რძეშეუშრობელ ჟურნალისტებს აგზავნის. სამწუხაროდ, ვისაც სიტყვაც უჭრის და გონებაც, ვინც 90-იანი წლებიდან მოყოლებული ყველა განსაცდელის შემსწრე და გადამტანია, ვინც პროფესიონალად სწორედ ამ წლებში ჩამოყალიბდა ან საკუთარი ნებით ზის ჩრდილში, ან მათი მიგნებითა და მიწვევით არავინ იწუხებს თავს. დღეს ჟურნალისტიკა მომხმარებლურია, სამწუხაროდ, ფული ჩადგა რეალობასა და ზნეობას შორის. ცოდვა გამხელილი სჯობს და ამგვარი ჟურნალისტები ორივე მხარეს ჰყავს, მხოლოდ ეს არის: ერთმანეთთან მიგზავნილები აღიზიანებთ ერთობ.

დიახ, მიგზავნილები ჰქვია ბრიფინგებსა თუ პრესკონფერენციებზე დაზეპირებული შეკითხვებით გაგზავნილ გოგო-ბიჭებს, რომლებსაც საკმარისია, ღრმად ჩაეძიო და ისე იბნევიან, როგორც ბრინჯი. არადა, მედიამ მუდმივად უნდა აჯანჯღაროს არა მხოლოდ ხელისუფლება, არამედ ოპოზიციაც, ანუ ნებისმიერი ის, ვისაც ქვეყნის სვე-ბედზე ზრუნვის პრეტენზია აქვს. აიძულონ ისინი იყვნენ ფხიზლად და იყვნენ პატიოსანნი, იყვნენ სიტყვის კაცნი, ზნეობრივნი და არა ფლუგერივით აქეთ-იქით მოქანავენი. მედია საზოგადოებას ხელისუფლების ნებისმიერი თვითნებობისგან უნდა იცავდეს.

დღეს სიტყვა შეურაცხყოფილია. მას მხოლოდ განკითხვის, განქიქებისა და დაკნინების ფუნქცია აკისრია. სულმნათ აკაკის ნათქვამს მოვიშველიებ: „ნუთუ შეუძლებელია, ერთის ქება ისე, რომ მეორე არ გაილანძღოს? ერთის ამაღლება მეორის დაუმდაბლებლად? სადღაა ძველებური დარბაისლობა, ზრდილობა, რიგიანი ტკბილ-ქართულობა, ავკარგის გარჩევა და ადამიანურობა? დღეს თავხედობა და კუდაბზიკობა კაცობის ნიშნად მიგვიჩნევია, უზრდელობა კი – განათლებად?“

დიახ, საიდან ამდენი „ბილწებისა ღვართაი“ და არა მხოლოდ მედიაში? საიდან ამდენი გესლი და ბალღამი პოლიტიკოსებსა თუ მაღალჩინოსნებში? ბრაზი ხომ უსუსურობის იარაღია და ამიტომაც შხამი ბუნებამ იმათ არგუნა, ვინც ხოხავს და ცოცავს? იგი ხომ ძლიერებს არ სჭირდებათ?..

საიდან და...

დღეს საქართველოში პროფესიონალთა დეფიციტია. ასეთ დროს, როგორც წესი, „ფშუტე თავთავები“ ყელყელაობენ. როგორც ხელისუფლებაში, ისე ოპოზიციაში საშუალო ან უფრო დაბალი ინტელექტუალური მონაცემების მქონე ამბიციური ადამიანები ჭარბობენ.

გავიხსენოთ: „ვარდების რევოლუციაში“ ეპიზოდური როლის შემსრულებელსაც კი თანამდებობრივ სავარძელში ჯდომის პრეტენზია გაუჩნდათ. ბევრმა აისრულა კიდეც ეს ამბიცია ისე, არც კი დაფიქრებულა, იყო კი იგი საჭირო იმ ადგილზე?ჰოდა, რაც საქართველოში ხდებოდა, სწორედ ამ შემთხვევითი ადამიანების შეუფერებელ თანამდებობებზე მოსვლა-წასვლით იყო განპირობებული. ეს რომ ტრაგედია იყო, ძალიან მალე მიხვდა ხალხი, მაგრამ... ხომ არ მეორდება იგივე დღეს? თითქმის, თუმცა, ერთი განსხვავებით: თანამდებობრივ სავარძლებში ჯდომის მსურველი გამარჯვებულ ლიდერთა ახლობელ-ნათესავი მეტი აღმოჩნდა, ვიდრე „ქართული ოცნების“ თავგადაკლული მომხრეები. თქვენი მოიმედე, წლობით სამუშაოს მაძიებელნი, უსამართლოდ დათხოვნილ- „ჩარეცხილ“- „ჩამოლაბორანტებულნი“, პირში ჩალაგამოვლებულნი დარჩნენ. სხვებს არ გადავწვდები, საკუთარ მაგალითს მოვიყვან (თუნდაც იმიტომ, რომ ბევრია ისეთი, ვინც იგივეს გეტყვით): ჩემს შვიდსულიან ოჯახში (ორი – მცირეწლოვანი, ერთი – ინვალიდი) უნივერსიტეტის სამი დიპლომი დევს უქმად. დავიჯერეთ მოწოდებები, ვირწმუნეთ კონკურსების და დავგზავნეთ ეს, ეგრეთ წოდებული, „სივები“, სწავლა-განათლება-კვალიფიკაცია – სტაჟის გათვალისწინებით, შესაბამის სამსახურებში, მერედა, რად გინდა, ვინაა დამძახებელი?..

მაინც რამდენი სიბინძურე და უაზრობა უნდა გამოვიაროთ, რომ ჭეშმარიტება შევიცნოთ და სწორ გზას დავადგეთ?

თქვენი გამოსვლის შემდეგ ვირწმუნე მოარული ხმები, ბიძაშვილ-მამიდაშვილობასა თუ ნაცნობ-მეგობრობა-ახლობლობის ქართულ ტრადიციაზე და გამოვძებნე კიდეც ერთგან, ახლობელი-მეთქი ვერ ვიტყვი, ნაცნობი, ადრეულ წლებში კოლეგაც კი, ახლა გამინისტრებული. და, რადგან დღემდე ვიცნობდი, როგორც ღირსეულსა და კეთილშობილ პიროვნებას, ჩემი გასაჭირიც ტელეფონით გავუზიარე, სამწუხაროდ, ამაოდ დავშვრი. თურმე მერე რა, რომ პროფესიონალი ხარ, მერე რა, რომ უსამართლოდ დათხოვნილი, ცოლშვილიანი თუ ინვალიდის პატრონი შინ ზიხარ, გაკლია მთავარი: არ გყავს დღევანდელ ხელისუფლებაში ნათესავ-ახლობელი?! მართალია ეს, ბატონო ბიძინა, და ნუ მიწყენთ. გადით ხალხში, ბევრი, ძალიან ბევრი გეტყვით იმავეს. დღეს საქართველოში „უპატრონო“ უმუშევართა არმია, სამწუხაროდ, არ შემციერებულა!

ისე ნუ გამიგებთ, შემთხვევით ვსარგებლობდე და რაიმეს ვითხოვდე, ღმერთმა დამიფაროს, ამგვარ საქციელს არ ვარ ჩვეული, დღეს რასაც თქვენ გუნდს დასაქმებასთან დაკავშირებით საყვედურობენ, მართალი რომ არის, მხოლოდ იმის დამაჯერებლობისთვის მოვიშველიე პირადი მაგალითი. თანაც ერთგვარი ტესტი იყო, როგორც ჟურნალისტისთვის, სიმართლის დასადგენად.

დიახ, ნაცნობობა ნამდვილად არ ჭრის, როგორც ჩანს, მეტი ახლობლობაა საჭირო, რომ დასაქმდე. სხვაგვარად როგორ ვიფიქრო, როცა ვხედავ, გამინისტრებულ „მეოცნებეებში“ ახლობელი თუ აღმოგაჩნდა, ვინც გინდა იყავი. ასეა ეს, ბატონო ბიძინა, და ნუ გამინაწყენდებით.

უნდა ისიც შეგახსენოთ, რომ ადამიანებს, რომელთაც წილად ხვდათ უფლება – განაგონ ხალხის ბედი, არა მხოლოდ უფლებები აქვთ, არამედ – მოვალეობებიც. ორივე ერთად კი ავალდებულებთ, იცოდნენ, რა არის სასიკეთო არა მხოლოდ პირადად მათთვისა და მათი ახლობლებისთვის, არამედ, საერთოდ, ადამიანებისთვის. უნდა იცოდნენ, რა აწუხებთ მათ, დღემდე ხომ საზოგადოებას, ერს სასიკეთო ბევრი ვერაფერი დასტყობია? ხალხს ჰკითხეთ, ბატონო ბიძინა, მხოლოდ ხალხია პირუთვნელი, რადგან დასაკარგი უკვე აღარაფერი აქვს, თორემ მაღალჩინოსნებს, თანამდებობრივი სავარძლების დაკარგვის შიშით კატის ბეწვივით სცვივათ ტყუილი.

ერთი სასიკეთო გამოცდილებაც უნდა, გაგიზიაროთ (თავის დროზე წინა ხელისუფლებასაც შევთავაზე,... როგორც ჩანს, ამაოდ); 2001-03 წლებში, როგორც ანტიკორუფციული საბჭოს ერთ-ერთ წევრს (თორმეტკაცას), ბედნიერება მქონდა, შევხვედროდი პალერმოს ყოფილ მერს ორლანდოს, რომელმაც კორუფციასა და მაფიასთან ბრძოლის გამოცდილება გაუზიარა საბჭოს. იგი ყოველგვარ ნეგატიურთან ბრძოლას ორთვლიან ეტლს ადარებდა, ერთი ბორბალი რეპრესირებისაა, მეორე – სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისო. თუ ორივე ბორბალმა ერთნაირი სიჩქარით არ იმოძრავა, ეტლი არ დაიძვრება, ხელისუფლება კი ამ ეტლში უნდა იჯდეს და ორივე ბორბლის სიჩქარეს აკონტროლებდეს, სხვაგვარად, ნეგატიურთან ბრძოლის ნიშნით, არც მხოლოდ კულტურული ღონისძიებები, ანუ მორალური მხილება გამოიღებს შედეგს, არც მხოლოდ რეპრესიები. თავიდან ჩვენც სამართალებრივი ბორბალი ავამუშავეთ, რადგან ჭაობში ვიყავით ჩაფლული, მაგრამ როგორც კი დაიძრა ეს ბორბალი, მეორის ამუშავებას შევუდექით.

ანტიკორუფციულ საბჭოში მუშაობამ დამარწმუნა, რომ ჩვენი ქვეყანა მძიმედ იყო დასნეულებული საყოველთაო კორუფციით, ამორალიზმითა და ნიჰილიზმით. ამას ემატებოდა კრიმინალთა მომძლავრება, მძიმე სოციალური მდგომარეობა და შინააშლილობა. „ვარდების რევოლუციით“ მოსულმა ხელისუფლებამ დაიწყო სამართლებრივ-ეკონომიკური რეფორმების განხორციელება, უშეღავათოდ ამუშავდა რეპრესირების ბორბალი, განკითხვის ჟამი იდგა საქართველოში. ვინც მანამ თავგამოდებით ყვლეფდა ქვეყანას, ყველას კარზე დააკაკუნებს!..კრიმინალებისგანაც ამოგვასუნთქეს და ეკონომიკური რეფორმების განხორციელებაც დაწყეს, თუმცა, ზოგჯერ რისხვა იყო სასჯელზე მეტი. და მაინც, ვერ გამართლდა ხალხის მოლოდინი, რადგან ხელისუფლებამ ვერ მოახერხა ორივე ბორბლის კონტროლი. ვფიქრობ, დიდი ხანია დადგა დრო, ქვეყანაში დაიწყოს მორალური რეფორმა, ურომლისოდაც ეკონომიკური და სამართლებრივი რეფორმა შედეგს ვერ გამოიღებს. ვინ უნდა განახორციელოს იგი? ზნეობრივად სრულქმნილმა, კეთილშობილმა, სამართლიანმა, წმინდა და ღირსეულმა ადამიანებმა. საბედნიეროდ, ასეთები მეცნიერებისა და კულტურის სფეროში საქართველოს მრავლად ჰყავს. უბრალოდ, მათი დანახვა და მოსმენაა საჭირო. სხვაგვარად, ხმაურიანი დაკითხვა-დაკავება-დაპატიმრებები იმ გრიგალს ჰგავს, რომელსაც მართლაც შეუძლია გაანადგუროს ქალაქი, მაგრამ არ შეუძლია, გახსნას კონვერტი ან განასკვული ძაფი.

ისიც ვთქვათ, ნაწილობრივ მაინც, ხომ განაპირობა დღევანდელი პრეზიდენტის პარტიის გამარჯვება, ანუ ხალხის მხარდაჭერა იმანაც, რომ ამ გუნდს „ნაციონალური“ ჰქვია? განაპირობა, რადგან სიტყვა „ნაციონალური“ ერსაც და პიროვნებასაც აერთიანებს. ამით კი ხალხს მიეცა არაცნობიერი იმპულსი, რომ ეს გუნდი ერისა და პიროვნების დაცვაზე იზრუნებდა. რაც მივიღეთ, კარგად ვხედავთ. ამით იმის თქმა მინდა, რომ თქვენი კოალიციის გამარჯვებაც არანაკლებ განაპირობა მისმა სახელწოდებამ: „ქართული ოცნება“, რომლის ახდენის გარანტად თქვენ მიგიჩნიათ ქართველმა ხალხმა, თორემ, ხალხს კოალიციაში გაერთიანებული პარტიების ნდობა რომ ჰქონოდა, კარგა ხნის პარლამენტარები იქნებოდნენ ისინი...

მართალია, ილიობას ყველას ვერ მოსთხოვ, მით უფრო ერის მამობას ნუ დაიჩემებს პარლამენტის ყოფილი თუ ამჟამინდელი თავმჯდომარე, ნურც თბილისის მერი თუ საკრებულოს თავკაცი და ნურც პარტიისა თუ ფრაქცია-კომიტეტის ლიდერი, ან რიგითი პარლამენტარი. ნურც – აღმასრულებელი თუ სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენლები, რადგან ხალხი ბრძენია და, უნდა გვახსოვდეს, იმედგაცრუებასა და გაცუცურაკებას, ასე იოლად, არავის აპატიებს...

დაბოლოს:

სულ ეს არის, ბატონო ბიძინა, ის სათქმელი (საშუალება რომ მქონოდა) თქვენი პარტიის ყრილობაზე რომ ვიტყოდი (თუმცა, მონაწილეობა არც მიცდია, ისე, როგორც თქვენთან ინტერვიუ, ბარიერების გამო). ამიტომაც დღევანდელ სათქმელს (პარალელებისთვის)ზემონახსენებ წერილებში გამოთქმული მოსაზრებებიც ჩავურთე და იმათ გასაგონად ვთქვი, ვისაც მინდოდა, რომ მაშინ გაეგონა და ვინც დღეს მინდა, რომ გაიგონოს! ქართველთა ოცნებაც, ხომ დასაბამიდან, ქვეყნის სათავეში მოჭირნახულე, პრინციპული, უშიშარი და მამაცი ხელისუფალის ყოფნაა. ისეთის, რომელსაც ვერც ჯანსაღი ოპოზიცია დაუკარგავს მოსვენებას და ვერც ბასრი მედია დაუფრთხობს ძილს.

რუსუდან ლორთქიფანიძე.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ გულის ბუხარი

ორმაგი სტანდარტები

ანუ „მე რომ მამაცი ვიყო!“

ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვისა და ლიტერატურულ-ინტელექტუალური შესავლის გარეშე პირდაპირ ვიტყვი, რომ საქართველო ორმაგი (ხანდახან სამმაგი, ოთხმაგი დ.ა.შ) სტანდარტების ქვეყანაა.

ორმაგ სტანდარტებს ფაქტობრივად ყოველდღე და ყოველ ნაბიჯზე ვაწყდებით და ეს ტენდენცია განსაკუთრებით პოლიტიკაში და საზოგადოებრივ ცხოვრებაშია ფესვგადგმული.

განსაკუთრებით მმართველ პოლიტიკურ ძალაში არსებული გაორებაა საშიში, რადგანაც მათი მხიდან განხორციელებული „შერჩევითობა“ პირდაპირ მოქმედებს მოსახლეობის ყოველდღიურ ცხოვრებაზე, აღსასრულებელ სამართლიანობასა და მომავალზე.

სწორედ ეს არის სამწუხარო, თორემ, ჩემი აზრით, თუ სუფრაზე ვინმე ისეთი კაცის სადღეგრძელოს დალევს, რომელიც გულზე დიდად არ ეხატება, მაინცადამაინც შემაშფოთებელი არ უნდა იყოს.

როგორც წესია, ამგვარ სტანდარტებზე საუბარი და კრიტიკა არ სცდება სამზარეულოების კედლებს და ფრაზით „ეჰ, რას იზამ, ყველა ერთნაირიათი“ მთავრდება.

პოლიტიკაში ორმაგი სტანდარტების ერთ-ერთი ყველაზე დამახასიათებელი ნიშანია პრინციპების სწრაფი ცვლა და არჩევნებამდე გამოთქმული დაპირებების, ლოზუნგებისა, თუ მოწოდებების წარბშეუხრელი ღალატი.

მაგალითი უამრავია, მაგრამ საქართველოს მოსახლეობას ძალიან კარგი მახსოვრობა აქვს და ეგეც რომ არ იყოს, არსებობს ინტერნეტი, რომელშიც ინახება ყველაფერი, რაც კი ოდესმე საჯაროდ თქმულა.

მაგალითისთვის მოვიყვან ბათუმში მეჩეთის მშენებლობასთან დაკავშირებით პარლამენტის ვიცე-სპიკერის მურმან დუმბაძის „სახეცვლილებას“.

„საქართველოს ხელისუფლების მიერ მიღწეული შეთანხმება თურქეთის მთავრობასთან ბათუმში სულთან აზიზიეს მეჩეთის აშენებათან დაკავშირებით, ეს არის ვითომ ეროვნული ხელისუფლების პირდაპირი ღალატი ქართველი ხალხის, ბათუმელებისა და მთლიანად აჭარლების მისამართით. რა უნდა აშენდეს? მეჩეთი, რომლის არც საძირკველია, არც ფუნდამეტი. ისტორიიდან არაფერია დარჩენილი. თურქეთის კულტურის მინისტრის განცხადება იყო პროვოკაცია, თავხედობა, როდესაც თქვა, რომ აჭარაში ჩამოვა და ადგილს თავად შეარჩევს, თუ სად უნდა აშენდეს ეს მეჩეთი. ბათუმელები, ყველას ვპირდებით, ააშენებენ მეჩეთს? მას ბულდოზერებით გადავუვლით.“ (2012 თებერვალი. http://www.epn.ge/?p=96995)

„მეჩეთის მშენებლობის საკითხი საკმაოდ დიდი ხანია დგას ბათუმში. საქართველოს მთავრობას, რეგიონის მთავრობას მუსლიმანთა ნაწილმა წერილობით მიმართა მეჩეთის აშენებასთან დაკავშირებით. რეგიონის მთავრობა და ქალაქის მთავრობა არ არის წინააღმდეგი აშენდეს მეჩეთი, იმიტომ რომ თუ მრევლი გაიზარდა და მეჩეთი არ ყოფნით, მეჩეთი უნდა აშენდეს. ამის წინააღმდეგი არავინ არ არის“. (2013 წლის თებერვალი http://www.gurianews.com/index.php?option=com_content&view=article&id=8168:—q—q&catid=66:2010-11-25-16-47-31&Itemid=111).

„პლიტიკური სიოს მიმართულებით“ შეხედულებების „გადაწყობის“ მომხრე-მოყვარულები ადრე გარკვეულწილად ახერხებდნენ თავიანთი ცხოვრებისეული „კრედოს“ დამალვას, მაგრამ როგორც აღვნიშნე, ხალხს კარგი მახსოვრობა აქვს.

ზაზა გაბუნია:

„2007-2008 წლებში იყო პარტია „თავისუფლების“ ახალგაზრდული ორგანიზაციის თავმჯდომარე, ამავდროულად იყო ერთიანი ეროვნული საბჭოს ახალგაზრდული შტაბის თავმჯდომარე. 2008-2009 წლებში იყო პოლიტიკური გაერთიანება „ახალგაზრდა ქრისტიან-დემოკრატების“ თავმჯდომარე. 2010 წელს გახდა თბილისის საკრებულოს ადამიანის უფლებების დაცვის კომისიის თავმჯდომარის მოადგილე“, — ნათქვამია თავისუფალ ენციკლოპედია „ვიკიპედიაში“.

იქ, ბუნებრივია, არაფერია ნათქვამი იმაზე, თუ როგორ უღალატა ზაზა გაბუნიამ კოკო გამსახურდიას, „ერთიან ეროვნულ საბჭოს“ და „პერსპექტიულ“ „ქრისტიან-დემოკრატებში“ მოკალათდა. ამის შესახებ ყველამ და განსაკუთრებით ერთიანი ეროვნული საბჭოს მაშინდელმა წევრებმა იციან. ამიტომ არც არავის გაკვირვებია ზაზა გაბუნიას გამოჩენა 16 თებერვალს ფილარმონიაში გამართულ „ქართული ოცნების“ ყრილობაზე.

„მე დავდექი იქ, სადაც მთელი ამ ხნის განმავლობაში საზოგადოება ჩემგან ითხოვდა, რომ დამდგარიყავი. იმ კონკრეტული ამოცანის მისაღწევად, რომ დედაქალაქში ჯერ კიდევ ხელისუფლებაში დარჩენილი „ნაციონალური მოძრაობის“ წევრები ოპოზიციაში გადავიყვანოთ. ეს არის მთავარი ამოცანა რაც მე, ზაზა გაბუნიას და „ქართულ ოცნებას“ დღეს დედაქალაქში აქვს. ამ ამოცანის შესასრულებლად მე ჩემს მეგობრებთან ერთად ვაერთიანებ ძალებს. მე მაქვს იმედი, რომ ჩვენი საზოგადოების დაკვეთის შემსრულებელი საკრებულო ეყოლება ჩვენს თბილისელებს. რაც მთავარია, სოციალურ-ეკონომიკური ამოცანების განხორციელების პროცესში „ქართული ოცნება“ როგორც დედაქალაქის საკრებულოში, ისე ყველგან იქნება მხარდამჭერი ძალა ჩვენი თანამოქალაქეებისათვის“,— განაცხადა გაბუნიამ ჟურნალისტებთან ყრილობის დაწყებამდე.

ე.ი. თურმე საზოგადოება მუხლმოდრეკილი სთხოვდა მას ნაციონალების წინააღმდეგ გალაშქრებას და მანაც უარი ვეღარ თქვა. დამერწმუნეთ, ამ განცხადების წაკითხვის შემდეგ, გაცინების გარდა „მაშ მტყუანსაც“ წამოცდება კაცს.

ჩემს კომენტარებს აღარ გავაკეთებ და შეფასებების გაკეთება თქვენთვის მომინდვია, მაგრამ ერთი კითხვა კი მინდა დავსვა:

რაში სჭირდება „ქართულ ოცნებას“ ეს „პოლიტიკოსი“?

საბედნიეროდ, „ჭირმა თავი არ დამალა“, სამზარეულოებიდან გარეთ გამოვიდა და ორმაგი სტანდარტების შესახებ უკვე ხმამაღლა გაცხადდა.

საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა, „ხალხის პარტიის“ ლიდერმა კობა დავითაშვილმა ამ მართლაც აქტუალური და შეიძლება ითქვას სასიცოცხლო პრობლემის შესახებ ამ რამდენიმე დღის წინათ სხვადასხვა მედიასაშუალებებთან მიცემულ ინტერვიუებში ისაუბრა.

„არ მაქვს თანაგუნდელობის განცდა იმ ადამიანების მხრიდან, რომლებიც ორმაგ სტანდარტებს იყენებენ, მათი მხრიდან ადგილი აქვს შერჩევით სამართალს“, „სისხლის სამართლის დამნაშავე ბაქრაძეს უღიმიან, ხელს ართმევენ და მასთან კოჰაბიტირებენ, ხოლო კობა დავითაშვილისთვის სხვა განმარტებები აქვთ შემონახული. ეს გუნდი არ არის, გუნდი ასე არ იქცევა. ამიტომ გაირკვეს, რას ნიშნავს გუნდი, რას ლაპარაკობს საპარლამენტო უმრავლესობა და თუ საპარლამენტო უმრავლესობა გადაწყვეტს, რომ კობა დავითაშვილის ყოფნა საპარლამენტო უმრავლესობის რიგებში არის სამარცხვინო და ის არის სერგო რატიანის დონის მოღვაწე და ამომრჩევლისგან ხმას არ იმსახურებს, მაშინ მიიღოს უმრავლესობამ გადაწყვეტილება ჩემ მიმართ. მე არ მჩვევია გადაწყვეტილების არდამორჩილება, ოღონდ სახლში დაჯდომის გარანტიას ვერავის მივცემ. მე ძალიან კარგად მესმის, რომ ჩემი პარლამენტის მანდატი ეკუთვნის ბიძინა ივანიშვილს, ის აირჩია ხალხმა და არა კობა დავითაშვილი, მათ შორის არც უსუფაშვილი და ხიდაშელი“.

არც ბატონი კობას განცხადებებზე გავაკეთებ კომენტარს და შესაბამისი შეფასებების გაკეთებას კვლავ თქვენ მოგანდობთ. უბრალოდ ვიტყვი, რომ საოცარია ნაციონალური მოძრაობის მართლაც კონსოლიდირებული და გუნდური ბრძოლის ფონზე, „ქართული ოცნების“ მხრიდან საკუთარი მომხრეების სრული იგნორი.

საოცარია არა მხოლოდ ზედა ეშელონებში არსებული განხეთქილება, არამედ სამინისტროებში, დეპარტამენტებში და სხვა მრავალ სახელმწიფო დაწესებულებაში იმ ხალხის დატოვება, რომლებიც ნაცკოორდინატორების რეკომენდაციით იყვნენ დანიშნულნი და რომლებიც არა მხოლოდ მორცხვად უჭერდნენ მხარს, არამედ ზონდერობდნენ და ყველანაირად ებრძოდნენ საკუთარ მოქალაქეებს.

სოციალურ ქსელ ფეისბუქში უკვე დაიწყო ამ პრობლემებზე მკვეთრი მოსაზრებების გამოთქმა.

არ დავმალავ იმას, რომ ჯერჯერობით მხოლოდ მცირე ნაწილი აფიქსირებს თავის პოზიციას და აქტიური „მეოცნებეები“, რბილად რომ ვთქვა, არამცთუ კომენტარებს, „დალაიქებასაც“ (მოწონების დაფიქსირება) ერიდებიან, მაგრამ დამერწმუნეთ, რომ კითხულობენ და გულში ეთანხმებიან.

ამიტომ ამ წერილს სწორედ ამ ქსელზე გავრცელებული ერთი სტატუსით დავამთავრებ:

„მე რომ მამაცი ვიყო!

მშიშარა ვარ, ნამდვილად მშიშარა და ამაში ახლა დავრწმუნდი.

აბა, მე რომ მამაცი ვიყო, ხომ უნდა ვთქვა, რომ ის ხალხი, ვინც საკრებულოებში იმ პარტიების ფრაქციები, რომლებმაც საპარლამენტო არჩევნებში ვერ გაიმარჯვეს, მიატოვეს და „თბილ“ ადგილას გადასკუპტდნენ, ჩვეულებრივი მედროვეები არიან?

ხომ უნდა ვთქვა, რომ ის ხალხი, ვინც 1 ოქტომბრამდე „ცალ-ცალი კალოშით“ დადიოდა და უცებ, საქართველოს პარლამენტის წევრობა თუ საქართველოს მთავრობაში ყოფნა „ყარაულის თოფივით გაუვარდა“, არამცთუ შეგხვდებიან, ტელეფონსაც არ პასუხობენ და ამიტომ უბრალოდ უნამუსოები არიან?

ხომ უნდა ვთქვა, რომ ის ხალხი, ვინც სოციალურ ქსელ ფეისბუქზე რისხვასა და მოწოდებებს არ იშურებს, პირველივე დაძახილზე თავიანთ კომპიუტერებს, სამზარეულოებში, ან ბუჩქებში მიატანტალებენ და იქიდან აგრძელებენ ცეცხლისა და მახვილის ქნევას — ამიტომ ისინიც „ლაყაფისტები“ არიან.

ხომ უნდა ვთქვა, რომ ის ხალხი, ვინც ჩიორას, თუ რატიანის ცემას აღფრთოვანებით მიესალმება და მზად არის, საკუთარი ხელით გაუსწორდეს ნებისმიერ ნაცს, ავტობუსებში უგულავას ყვითელქურთუკიანი ბანდიტების მიერ სკოლის მოსწავლის დაჯარიმებას მშვიდად უცქერენ, ან თვალს არიდებენ და მოკლედ რომ ვთქვა, ტრაბახა ხალხია.

ხომ უნდა ვთქვა, რომ ის ხალხი, ვინც ხმამაღლა იძახის, „პროფილს“, „ნანუკას შოუს“, „კომედი არხს“ დ.ა.შ და საერთოდ ნაცტელევიზიებს არ ვუყურებო, ამ დროს გულში იმას ნატრულობს, ნეტა მიმიწვიონო და, თუ დაუძახეს, მაშინვე ავიწყდებათ თავიანთი „ოპოზიციური წარსული“, კონფორმისტები არიან.

ხომ უნდა ვთქვა, რომ ის ხალხი, ვინც ფეისბუქის საკუთარ გვერდზე ბიძინა ივანიშვილის, ან ირაკლი ღარიბაშვილის ოჯახის ფოტოებს დებს და მოწოდებას „ბევრი „ლაიქი“ ამ ფოტოსო“ წაუმძღვარებს, ჩვეულებრივი მლიქვნელები არიან.

ხომ უნდა ვთქვა, რომ ის ხალხი, ვინც...

ხომ უნდა ვთქვა, რომ ის ხალხი, ვინც...

კიდევ ბევრი რამ უნდა ვთქვა. გვარებიც უნდა დავასახელო, მაგრამ ორი მიზეზის გამო არ ვაკეთებ:

1. მეშინია ვინმე არ გამომრჩეს და არ ვაწყენინო.
2. მე ხომ მშიშარა ვარ“.

თიკო თვალაძე

◎ ალიან-ჩალიანი

2005-2012 წლებში საპყრობილეებში 700-ზე მეტი ადამიანი გარდაიცვალა და მათი დიდი ნაწილი მოკლულია

სასჯელაღსრულების სისტემაში არსებულ ვითარებაზე საზოგადოება უახლოეს ხანში სიახლეს მოისმენს, — ამის შესახებ მთავარმა პროკურორმა არჩილ კბილაშვილმა განაცხადა.

— როცა პროკურატურის ოფისში მივედით, სამი ძირითადი პრიორიტეტი დავსახეთ — ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების წინაშე ჩადენილი დანაშაული, საფინანსო სფეროში დანაშაული და გახმაურებული დანაშაული. ამ დროისთვის გვაქვს გარკვეული პროგრესი იმ დანაშაულების გამოძიების საქმეში, რომელიც ადამიანის უფლებების ხელყოფას შეეხება. საზოგადოებისთვის ცნობილია, რა ვითარება იყო სასჯელაღსრულების სისტემაში, თუმცა ამ მხრივ უახლოეს პერიოდში კიდევ მნიშვნელოვან სიახლეს მოისმენთ. პროკურატურამ სასჯელაღსრულების სამინისტროს დახმარებით 18 სხვადასხვა დაწესებულებაში განთავსებული ორი ათასი პატიმრისგან აიღო ჩვენება, რომლებიც ყვებიან ცემის, წამების და არაადამიანური მოპყრობის ფაქტების შესახებ, — განაცხადა არჩილ კბილაშვილმა.

მისივე განმარტებით, პარალელურად მოკვლევა მიმდინარეობს საპყრობილეში პატიმართა გარდაცვალების რეალური მიზეზების დასადგენად.

— 2005-2012 წლებში საპყრობილეებში 700-ზე მეტი ადამიანია გარდაცვლილი. მიმდინარეობს მათი გარდაცვალების რეალური მიზეზის დადგენა, ვინაიდან წინასწარი მონახაზით, რეალობა ის არის, რომ მათი დიდი ნაწილი უბრალოდ მოკლულია, — აღნიშნა კბილაშვილმა.

ამასთან, მთავარი პროკურორის თქმით, წინასწარი ვარაუდით, საქმე გვაქვს სისტემურ სახელმწიფო დანაშაულთან.

რაც შეეხება საფინანსო სფეროში ჩადენილ დანაშაულებს, მთავარი პროკურორის ინფორმაციით, საზოგადოება მალევე შეიტყობს „სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვის მილიონიანი შემთხვევების შესახებ“.

— ერთ-ერთი ფაქტი საზოგადოებისთვის უკვე ცნობილია. საქმე ეხება საქართველოს მასშტაბით 21 ათასი პარტიული აქტივისტისთვის თანხების სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაცემას, — აღნიშნა საქართველოს მთავარმა პროკურორმა. რაც შეეხება გახმაურებულ საქმეებს, კბილაშვილის თქმით, გამოძიება ამ კუთხითაც წინ არის წასული.

— წინ ვართ წასული რობაქიძის საქმეზე, ასევე წინსვლაა გირგვლიანის საქმეზე. შეიძლება ითქვას, რომ ყველა ეპიზოდი, რაც უკავშირდება ამ ადამიანის გარდაცვალებამდე და გარდაცვალების შემდგომ სტადიებს, სრულად იქნა გაყალბებული, — აღნიშნა მთავარმა პროკურორმა.

კბილაშვილის ინფორმაციით, 1 ნოემბრიდან 31 იანვრის ჩათვლით უწყებაში სულ 18.500-ზე მეტი საჩივარი შევიდა. ამ პერიოდის განმავლობაში კი, 100-ზე მეტი საჯარო მოხელე იქნა პასუხისგებაში მიცემული.

ინტერპრესი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ ბათუმში ახალი მეჩეთი აშენდება

„ღვდლები და მრევლი გაწყდა თუ ყველა ერთბაშად ტოლერანტი გახდა?“

საძართველოს პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა თურქეთის პრემიერ-მინისტრ რეჯებ თაიფ ერდოღანთან გამართულ ერთობლივ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე იშხანისა და ოშკის აღდგენის პროცესს ქართველი ექსპერტები დააკვირდებიან.

მისივე თქმით, ქართული მხარე თურქეთს დაპირდა, რომ საქართველოში არსებული თურქული ძეგლების აღწერას და მათ მოვლა-პატრონობას უზრუნველყოფს.

„ვისაუბრეთ კულტურულ მემკვიდრეობაზე. ვისაუბრეთ მეჩეთის აშენების პრობლემებზე, რომელიც, მე მგონი წარმატებით გადავწყვიტეთ და შევთანხდით“, — განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა. მისივე თქმით, უახლოეს მომავალში ახალი მეჩეთის ასაშენებლად ადგილი გამოიყოფა აჭარაში. ასევე ქართული დელეგაცია ოშკისა და იშხნის რესტავრაციაზე დაიშვება. ეს აზრი მან ქართული ოცნების“ ყრილობის დაწყებამდე გაახმიანა:

„მეჩეთთან დაკავშირებით, მე მგონია, რომ ძალიან საინტერესო შეთანხმებას მივაღწიეთ ბატონ ერდოღანთან, როდესაც ერთი ერთზე ვსაუბრობდით, ეს თემა საკმაოდ მწვავედ დაისვა და მე მგონი, მოვახერხეთ შეთანხმება. ის, რომ იმ ადგილზე და აზიზის სახელით მეჩეთი არ უნდა აშენდეს, შევთანხმდით. ამავდროულად, ბათუმში, აჭარაში, ჩვენი ქართველი მუსლიმანი მოსახლეობა ბევრია, ამავდროულად არიან ინვესტორები თუ ტურისტები, მუსლიმანები და იქ არ არის საკმარისი სალოცავი. თუ გინახავთ, ბათუმში ეზოში გამოდიან და ვერ თავსდებიან ხშირად და ქუჩაში უწევთ გამოსვლა სალოცავად. რა თქმა უნდა, არ არის პრობლემა საქართველოში და თვითონ აჭარაში 200-ზე მეტი მეჩეთია და არაფერი პრობლემა არ არის მეჩეთის აშენების.

ადგილს იძიებს აჭარის მთავრობის მეთაური. ხაბაძე ჩვენს დელეგაციაში იყო. აშენდება მეჩეთი, ამას არ სჭირდება არავითარი პოლიტიკური დატვირთვა. ამავდროულად ბატონმა ერდოღანმა თქვა, რომ ქართული დელეგაცია, ექსპერტებით და არქიტექტორებით დაიშვება ოშკისა და იშხნის რესტავრაციაზე, მე მგონი, რომ ძალიან წინ გადადგმული ნაბიჯია. ძალიან წარმატებული ვიზიტი გვქონდა და არამარტო ამ საკითხში, პრაქტიკულად ყველა საკითხზე შევთანხმდით. თქვენ გახსოვთ ამ საკითხს, როგორ აჟიტირებას უკეთებდა „ნაციონალური მოძრაობა“ და როგორ საპირისპირო განცხადებები კეთდებოდა. ამ დროს პირველსავე შეხვედრაზე აბსოლუტურად ჯანსაღად მოგვარდა ეს პროცესი“, — განაცხადა ივანიშვილმა „ნეტგაზეთთან“ ინტერვიუში.

15 თებერვალს, საგარეო საქმეთა მინისტრმა მაია ფანჯიკიძემ განაცხადა, რომ ბათუმში გამოიყოფა ადგილი, სადაც მეჩეთი აშენდება. ამ საკითხზე კომენტარი გააკეთა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა გურამ ოდიშარიამაც.

„ინფორმაცია თუ სად აშენდება მეჩეთი, არ ვიცით, მთავარია, პრინციპული შეთანხმება მოხდა. აზიზიესთან დაკავშირებით, ჯერჯერობით, თავს შევიკავებთ, მაგრამ ახალი მეჩეთი აშენდება“, — განაცხადა გურამ ოდიშარიამ. რაც შეეხება თურქეთის ტერიტორიაზე ძველი ტაძრების რესტავრაციას, მინისტრის თქმით, ამ საკითხზე მოგვიანებით გაიმართება პრესკონფერენცია და დეტალები შემდეგ გახდება ცნობილი.

ამის შესახებ საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთმა ლიდერმა ზვიად ძიძიგურმა „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველოს“ ყრილობის დაწყებამდე განაცხადა.

„აზიზიეს მეჩეთის მშენებლობის წინააღმდეგი ვიყავი მაშინ და ახლაც ვარ. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ძეგლების რესტავრაციის წინააღმდეგი ვართ ჩვენ საქართველოში და მე რამდენადაც ვიცი, აზიზიეს მეჩეთზე ლაპარაკი არ არის. არსად წამიკითხავს, რომ აზიზიეს მეჩეთის საკითხი ისევ დგება. ვნახე, რომ არის რომელიღაც კულტურული ძეგლის რესტავრაციის საკითხი, როგორც ვიცი, ეს არის მუსლიმანური კულტურის ძეგლი“, — განაცხადა ძიძიგურმა.

საბოლოოდ დასამარდა ის ყბადაღებული დემაგოგია, რომ საქართველო და ბათუმი მეჩეთის აშენებას ეწინააღმდეგება, — პარლამენტის ვიცე-სპიკერმა მურმან დუმბაძემ ბათუმში მეჩეთის მშენებლობის საკითხის კომენტირებისას ჟურნალისტებს განუცხადა.

მისი თქმით, საქართველოს მთავრობა თავის კონსტიტუციურ მოვალეობას მსოფლიოს ამცნობს, და თუ ქართველ მუსლიმანს მეჩეთის მშენებლობა სჭირდება, ბუნებრივია, საქართველოს მთავრობა ადგილს გამოუყოფს.

„შეთანხმება არის ერთადერთ საკითხზე. გადარჩება ოშკი და იშხანი და ერდოღანის მთავრობამ სთხოვა საქართველოს მთავრობას, რომ ამ გადარჩენაში ქართველმა სპეციალისტებმა მიიღონ მონაწილეობა. მეორე, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს მთავრობა საქართველოს კონსტიტუციურ მოვალეობას მსოფლიოს ამცნობს. ის ამბობს, რომ თუ ქართველ მუსლიმანს მეჩეთის მშენებლობა სჭირდება, ბუნებრივია, საქართველოს მთავრობა ადგილს გამოუყოფს. ეს შეთანხმების შედეგად კი არ ხდება, არამედ მის კონსტიტუციურ მოვალეობას ამჟღავნებს და ეს კარგია“, — აღნიშნა მურმან დუმბაძემ

პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ოპონენტები თურქეთის ტერიტორიაზე არსებული ქართული ძეგლების, ოშკისა და იშხანის რეაბილიტაციის პროექტების შეფერხების გამო გააკრიტიკა.

როგორც პრეზიდენტმა აღნიშნა, ის მიესალმება პროცესის დაწყებას და მხარეების მიერ დღეს გამოთქმულ მზაობას, ოშკისა და იშხანის რეაბილიტაციის სანაცვლოდ საქართველოში აშენდეს მეჩეთი, თუმცა, ოპონენტებს ორი წლის წინ ამავე პროექტზე მოლაპარაკებების მიმდინარეობისას კრიტიკულ პოზიციას ახსენებს.

ნატა ნიბლაძე

◎ თვალსაზრისი

ფრთხილად, ცხენის ხორცია!

უხარისხო და უვარგის საკვებზე კონტროლი ერთიორად მკაცრდება

დაავადებული ცხენები, კარტოფილები და სხვა უვარგისი საკვები შორს სავაჭრო ობიექტებისგან! — ამგვარი პათოსით შეუდგა ცალკერძ სურსათის ეროვნული სააგენტო და ცალკერძ შემოსავლების სამსახური მუშაობას. აქედან, პირველი სავაჭრო ობიექტებს ამოწმებს, მეორე კი — საბაჟო-გამშვებ პუნქტებს.

ცხენის ხორცისა და დაავადებული კარტოფილის აღმოჩენის შემდეგ სავაჭრო ობიექტების მონიტორინგი მიმდინარეობს. როგორც სურსათის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენელმა გიგა ქურდოვანიძემ განაცხადა, სავაჭრო ობიექტების მონიტორინგი პერმანენტულად ხდება, რათა დაავადებული პროდუქცია არ გაიყიდოს.

„მონიტორინგი გრძელდება და წარმოებს როგორც ბაზრებში, ასევე სასურსათო მაღაზიებში და ყველა იმ ადგილებში, სადაც სასურსათო პროდუქციით ვაჭრობა მიმდინარეობს. როგორც გახსოვთ, რამდენიმე დღის წინ 5 ტონა ცხენის ხორცი დავაკავეთ, მანამდე კიდევ, რამდენიმე შემთხვევა იყო და ქსელიდან ცხენის ხორცი ამოვიღეთ“, — აცხადებს ქურდოვანიძე.

„ცხენის ხორცის რეალიზაცია კანონმდებლობით აკრძალული არ არის, უბრალოდ, მას უნდა ეწეროს, რომ ცხენის ხორცია და მომხმარებელს ინფორმაცია უნდა ჰქონდეს. ასევე, პირუტყვი დაკლული უნდა იყოს სასაკლაოზე და ჩატარებული ჰქონდეს აცრები, რადგანაც ცხენს აქვს ისეთი დაავადებები, რაც ადამიანზე გადადის და საშიშია.

საქართველოში დღეს ცხენს არავინ კლავს, თუ ის არ არის ჯაგლაგი, ავადმყოფი, დამხრჩვალი ან მოპარული. არის დიდი რისკი, რომ ცხენის ხორცი არის დაავადებული. ლაბორატორიულმა გამოკვლევებმა გვიჩვენა, რომ ერთ-ერთი მოქალაქის ოჯახიდან ამოღებული ხორცი დაავადებული იყო.

5 ტონა ცხენის ხორცის ამოღების შემდეგ იყო ერთი შემთხვევა (თუმცა არა ბაზარში), როდესაც სურსათის ეროვნულმა სააგენტომ ისევ დაავადებული ცხენის ხორცი ამოიღო. არ არის გამორიცხული, რომ ბაზარშიც აპარებდნენ. სამწუხაროდ, ცხენისა და ძროხის ხორცის გარჩევა თვით ვეტერინარსაც კი უჭირს თუ ძვალი არ ნახა“, — აღნიშნა სააგენტო „ჯიეიჩენთან“ საუბარში ქურდოვანიძემ.

მისი განმარტებით, ფაქტის დაფიქსირების შემთხვევაში ჯარიმა 300-დან 1000-ლარამდე მერყეობს.

თუკი სურსათის ეროვნული სააგენტო სავაჭრო ქსელების კონტროლს შეუდგა, შემოსავლების სამსახური, საბაჟო პუნქტებზე ამკაცრებს პირობებს. სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების ხელმძღვანელი ხატია მოისწრაფიშვილი დაბეჯითებით აცხადებს, რომ „საქართველოს სავაჭრო ქსელში საქართველოს საბაჟო პუნქტების გავლით დაავადებული პროდუქტი ვერ მოხვდება!“

საბაჟო-გამშვებ პუნქტებზე ევროკავშირის რეკომენდაციების გათვალისწინებით, შემოსავლების სამსახური მკაცრ კონტროლს აწარმოებს. თუ პროდუქტი ხარისხს ვერ აკმაყოფილებს და საკარანტინო მავნებლობა აღენიშნება, იგი განადგურებას ან უკან, ექსპორტიორ ქვეყანაში დაბრუნებას ექვემდებარება.

როგორც მოისწრაფიშვილმა აღნიშნა, შემოსავლების სამსახური მთელი დატვირთვით ახორციელებს მასზე დაკისრებულ ფუნქციებსა და მოვალეობებს, რომლებიც ითვალისწინებს პრევენციულ ღონისძიებებსაც, რაც ევროკავშირის მონიტორინგის პროგრამითაა დამტკიცებული და მას ექვემდებარება საქართველოს საბაჟო-გამშვები პუნქტებიდან შემოსული ყველა საეჭვო პროდუქტი.

გიორგი ბექაური

◎ განუკითხაობა

ავტოსადგურების ბუმი ზუგდიდში

ავტოსადგურების რაოდენობით ზუგდიდი ტოლს არ უდებს მილიონიან ქალაქებს. უფრო მეტიც, შესაძლოა უსწრებდეს კიდეც. ოფიციალურად ზუგდიდში არის 4 ლიცენზირებული ავტოსადგური. ამათ ემატება 100-მდე არალიცენზირებული ავტოსადგური, რომელიც არსად არ არის აღრიცხული. „არსებობს დებულება, რომელიც განსაზღვრავს, თუ როგორი უნდა იყოს ავტოსადგური. მას უნდა ჰქონდეს, თუ ის ემსახურება საქალაქთაშორისო რეისებს 150 — 200 მგზავრისთვის მოსაცდელი დარბაზი, არანაკლებ 4 საბილეთო სალარო, სადისპეტჩერო ოთახი, დედათა და ბავშვთა ოთახი, ტრანსპორტის დასადგომი ბაქანი. ყოველივე ეს არც ერთ ავტოსადგურს არ გააჩნია ჩვენს გარდა. ჩვენი ავტოსადგურის გარდა დანარჩენი ავტოსადგურები არანაირად არ აკმაყოფილებენ სტანდარტებს. ისინი მუშაობენ პრიმიტიულად და რატომ ხუჭავენ ამის გამო ადგილობრივი ხელისუფალნი თვალს გაუგებარია. ჩვენ კი მუშაობის საშუალება არ გვეძლევა,“ — აცხადებს შპს „ავტოსადგურის“ ერთ-ერთი აქციონერი ნუგზარ შეროზია.

1996 წელს საქართველოს მაშინდელი პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის განკარგულებით, პირდაპირი მიყიდვის წესით, 21 აქციონერზე გაიყიდა ზუგდიდის ცენტრალური ავტოსადგური შენობა-ნაგებობებით და ტერიტორიით. **„სანამ ავტოსადგურს ჩვენზე გაყიდდნენ მანამდე შექმნილმა ბანდამ, „მხედრიონის“ ძალის გამოყენებით ყველა ავტობუსი გადაიყვანა რკინიგზის სადგურის ტერიტორიაზე. ვის არ მივმართეთ, რომ ავტობუსები დაბრუნებოდა თავის ძველ ადგილსამყოფელს. როდესაც გიგი უგულავა იყო სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორი, შეგვპირდა, რომ ავტოსადგურის მესაკუთრენი ერთი თვის განმავლობაში შევაკეთებდით და კეთილმოვაწყობდით ავტოსადგურს, დაუბრუნებდა თავის ფუნქციას. ჩვენც დავტრიალდით, ავიღეთ დიდბროცენტიანი სესხები და ავტოსადგური სტანდარტების შესაბამისად გავაკეთეთ, მაგრამ უგულავას მოუწია თბილისში თანამდებობაზე გადასვლა და შეპირება შეპირებად დარჩა. ანალოგიურად დაგვაიმედა ზაზა გოროზიამაც, რომ ის ჩაატარებდა ტენდერს. ტენდერი მართლაც ჩატარდა, რომელიც ჩვენ მოვიგეთ. გოროზიამ დაგვავალა, თუ ავტოსადგურის გარეთა ხედს კიდევ უფრო უკეთესად შევაკეთებდით — მოგვეცემოდა საქმიანობის უფლება. ჩვენც შევუდექით საქმეს. ისევ ავიღეთ სესხები, სახლში თუ რამე გაგვაჩნდა ყველაფერი გავყიდეთ და მოვახმარეთ შენობის რემონტს, მაგრამ არც ზაზა გოროზიამ შეგვისრულა დანაპირები,“** — აღნიშნა ნუგზარ შეროზიამ.

სატრანსპორტო სფეროში სრული ქაოსია ზუგდიდში და თუ ეს საკითხი დარეგულირდება სოლიდური თანხა შევა ადგილობრივ ბიუჯეტში.

„ეს ავტოსადგურები ყოველმხრივ არღვევენ ავტოსადგურების დებულებას, ამიტომ უნდა აღორძინდეს ჩვენი და დაკომპლექტდეს საქალაქთაშორისო მარშრუტებით. ეს ხელს შეუწყობს ქალაქის ცენტრის განტვირთვას, რადგან ჩვენგან გასული ავტობუსები გადიან ქალაქის ცენტრის გვერდის ავლით. ატობუსები, რომლებიც გააჩნიათ სხვა ე.წ ავტოსადგურებს, ჩვენგანაა გატაცებული და აუცილებლად უნდა დაგვიბრუნდეს. თუ ეს შესრულდა და აღორძინდა ცენტრალური ავტოსადგური ყოველივე ეს არის ჩვენი მთავარი მოთხოვნა ზუგდიდის ახალი ხელისუფლებისადმი,“ — დასძინა ნუგზარ შეროზიამ.

ლადო ქირია,
ზუგდიდი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

მოწამლული თანაარსებობა

მიხეილ სააკაშვილი ძველებურად თავის ფუტურისტულ საპრეზიდენტო სასახლეში აგრძელებს სხდომებს თბილისში. თუმცა, მისი დღეები დათვლილია. სააკაშვილის მეორე ვადა ოქტომბერში მთავრდება. დამარცხებიდან ოთხი თვის შემდეგ მისი პარტიის „გაერთიანებული ქართული ოცნების“ პრემიერ ბიძინა ივანიშვილის ახალ უმრავლესობასთან თანაარსებობა იმდენად მოიწამლა, რომ ყოველი ახალი დღე თბილისში იწყება ხმებით პუტჩის შესახებ: ხან მთავრობა ამხობს პრეზიდენტს, ხან პრეზიდენტი – მთავრობას.

გასულ კვირას სააკაშვილმა ვერ შეძლო მიემართა ქვეყნისთვის პარლამენტში, ვინაიდან მმართველმა უმრავლესობამ არ ისურვა მისი ხილვა პლენუმზე. როდესაც პრეზიდენტი აპირებდა სიტყვის წარმოთქმას თბილისში ეროვნულ ბიბლიოთეკაში, გაჩნდა ასობით დემონსტრანტი; ბოლოს და ბოლოს, სააკაშვილი თავის მომხრეებს ესაუბრებოდა პრეზიდენტის სასახლეში.

სააკაშვილმა აღნიშნა, რომ ძალიან კარგად იცის „პოლიტიკური დინამიკა“ და ესმის, რომ მთავრობა რომ დაეთხოვა არჩევნებიდან 3-5 თვის შემდეგ, ეს იქნებოდა დამღუპველი გადაწყვეტილება. კონსტიტუციის თანახმად, პრეზიდენტს ამის უფლება აქვს, ამიტომ პრემიერ ივანიშვილს სურს, რაც შეიძლება მალე „შეუკვეცოს ხელისუფლება სააკაშვილს საპარლამენტო გადაწყვეტილებით“. თანაარსებობის შესახებ, ესე იგი პრეზიდენტისა და პრემიერის თანამშრომლობა სხვადასხვა დაპირისპირებული ბანაკებიდან,

ორივე მხარის პატივისცემით, უკვე შეუძლებელია. მაგრამ მმართველ კოალიციას არ ჰყოფნის ხმები კონსტიტუციის შესაცვლელად. პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი და ოპოზიციის ლიდერი დავით ბაქრაძე ნატოს და ევროკავშირის ზემოქმედებით განვლილი დღეების განმავლობაში ორჯერ შეხვდნენ ერთმანეთს ამ საკითხთან დაკავშირებით კომპრომისის ძიების მიზნით.

ამას გარდა, დავები მიმდინარეობს ივანიშვილის საგარეოპოლიტიკურ კურსთან დაკავშირებითაც. სააკაშვილი ბრალს სდებს მეტოქეს განზრახვაში, დააბრუნოს საქართველო რუსეთის დაქვემდებარებაში. მთავრობა აწარმოებს მოლაპარაკებას აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან მიმოსვლისა და სავაჭრო რეჟიმის შემსუბუქების თაობაზე, მაგრამ აცხადებს, რომ ინარჩუნებს წინანდელ მიზნებს: ნატოსთან წევრობასა და ევროკავშირთან ასოციირების თაობაზე.

DER STANDARD

საქართველოსთვის ყველაფერი როდია დაკარგული

გთხოვთ, ინტერვიუს რუსეთის ეროვნულ-ლისტურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსთან, პროფესორ ვალენტინ ნიკიტინთან, რომელიც რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიის ნაწილის ოკუპაციასაც ეხება და ვფიქრობთ, დაინტერესებს მკითხველს.

ერთ-ერთ საიტზე მოძიებული ეს საუბარი რუსულად დაიბეჭდა, შემოკლებული ვარიანტით, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის „მაცნეს“ (ისტორიის, არქეოლოგიის, ... სერია) მეორე ნომერში.

— როგორია თქვენი პოზიცია რუსეთის ფედერაციის მხრიდან სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარებასთან დაკავშირებით?

— დაახლოებით ისეთივე, როგორც დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთაგან კოსოვოს მხარის დამოუკიდებლობის ამასწინანდელი აღიარების მიმართ. უეჭველი სინანულით ვეკიდები ამ მოვლენებს, თუმცა, ისინი, როგორც ერთი ჯაჭვის რგოლები, კანონზომიერნი არიან. ვისურვებდი, რომ ჯაჭვის გაშხუილება არ აღმოჩნდეს იმგვარად მტკივნეული, როგორც მოსალოდნელია, რომ დარტყმა შემსუბუქდეს თუნდაც რამდენიმე სახელმწიფოს კეთილგონიერი რეაქციით.

— როგორ შეაფასებდით სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ახალ სტატუსს?

— რასაკვირველია, ეს ახალი რესპუბლიკები (დღევანდლამდე თვითგამოცხადებული სტატუსის მქონენი), სრული გაგებით, ვერ ჩაითვლებიან სუვერენულ სახელმწიფოებად სრულფასოვანი სახელმწიფოს ხელისუფლების ყველა ატრიბუტითა და სტრუქტურით. იმ ათი თვითგამორკვევის შემდგომი ეტაპი იოლი გამოსაცნობია — ესაა რეფერენდუმები რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში ამ რესპუბლიკათა შესვლის თაობაზე, რომელთა შედეგიც ასევე არაა ძნელი მისახვედრი; და აქ რუსეთმა განსაკუთრებული პასუხისმგებლობა უნდა გამოიჩინოს. საქართველოს უნდა მიეცეს შანსი. არ შეიძლება კავკასიაში სტრატეგიული მოკავშირის საბოლოოდ დაკარგვა ერთმორწმუნე ქვეყნის სახით; თუმცა, საქართველო უკვე რამდენიმე წელია ფაქტობრივად აღარ არის ასეთი (რაშიც ჩვენ დანაშაულსაც ნუ გამოვრიცხავთ), მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ იგი ყოველთვის ცალმხრივ (პროამერიკულ) პოზიციას დაიკავებს.

— ხსენებაზე, რას იტყოდით საქართველოს პოზიციის შესახებ ამჟამინდელ სიტუაციაში? მსოფლიოში პოლიტიკური კონფიგურაციის ცვლილებაზე?

— საჭიროა დაფიქრება, დასკვნების გაკეთება კავკასიაში გეოპოლიტიკური სიტუაციის აგრე სერიოზული შეცვლის მიზეზებისა და შესაძლო შედეგების თაობაზე. საჭიროა მოთმინებით აღჭურვა... ისტორიული პროცესები შექცევადია, ეს ჩვენ თუნდაც გერმანიის მაგალითზე ვიხილეთ. 1989 წლის აპრილში, გფრ-ში ყოფნისას, მოწმე გახლდით იმისა, რომ „დასავლელი გერმანელები“ ფაქტობრივად შეურიგდნენ აღმოსავლური მიწების დაკარგვას და აღარ ჰქონდათ თავიანთი ქვეყნის გაერთიანების იმედი. რამდენიმე თვეში კი, იმავე წლის ნოემბერში, ჩამოიშალა „რკინის ფარდა“, დაინგრა ბერლინის კედელი! ლათინური ნათქვამია — წამში ხდება ის, რაც წლობით უიმედო გგონია.

საქართველო, რასაკვირველია, არასდროს არ შეურიგდება ოდინდელ ქართულ მიწათა დაკარგვას. მისთვის, უნდა ითქვას, ყველაფერი როდია დაკარგული, სანამ ეს რესპუბლიკები რუსეთის შემადგენლობის მიღმა არიან, ოღონდ საქართველოს ხელმძღვანელობამ სრულად უნდა გაიაზროს, ძალით პრობლემის გადაწყვეტის ვარიანტი მიუღებელია და კონტრპროდუქტიული...

ჰაკერის წინააღმდეგ აღძრული საქმე ქართველ პოლიტიკოსთა თანამიმდევრულობას კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს?

(მეოთხე გვერდიდან)

აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ფაქტების გადამოწმება საკმაოდ რთული აღმოჩნდა. არსებული ცნობებით, პროკურატურა ოფიციალურად ჯერ არ ჩამოყალიბებულა იმაზე, თუ რა ტიპის ვირუსული პროგრამა იყო გამოყენებული ივანიშვილის და „ქართული ოცნების“ კომპიუტერების წინააღმდეგ. EurasiaNet.org-ის არაერთი მიმართვის მიუხედავად, კოალიცია „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებმა ვირუსის შესახებ გამოცემას არანაირი დეტალი არ გაუმხილეს და არ აცნობეს მას იმ „უცხოელი ექსპერტების“ შესახებ, რომლებიც შარშან ზაფხულში კონსულტაციებზე მოიწვიეს მას შემდეგ, რაც აღმოაჩინეს ივანიშვილის და მისი კოალიციის კომპიუტერებზე საეჭვო შეტევის ფაქტი.

ყველაზე სიტყვაუხვი ამ ექსპერტებს შორის კომპიუტერული უსაფრთხოების სპეციალისტი, ამერიკელი პოლ ჯოიალია, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების კამპანიის დროს ივანიშვილის შტაბის წარმომადგენელი, რომელსაც მიაჩნია, რომ აღნიშნული შეტევის მასშტაბი მასში ხელისუფლების მონაწილეობაზე მიუთითებს. „ეს მათ ძალუძთ, როგორც ორგანიზაციული, ასევე ფინანსური თვალსაზრისით“, — განაცხადა მან, გულისხმობდა რა „ნაცმოძრაობის“ მმართველობის პერიოდის შსს-ს.

თუმცა, მნიშვნელოვანი ელემენტი აღნიშნული ვირუსისა, კერძოდ კი პროგრამისა Dark Comet, არის ის, რომ ის დისტანცირებული ადმინისტრირების ინსტრუმენტია და ფინანსურად ბევრისთვის არის ხელმისაწვდომი. ბლოგ Malwarebytes-დან ცნობილი ხდება, რომ 2012 წელს პროგრამა Dark Comet-ის შეძენა ქსელში სულ რაღაც 25 ევროდ (33,41 დოლარი) შეიძლებოდა.

საქართველოში არსებულ კომპიუტერებზე ჰაკერული თავდასხმა განსაკუთრებულ პრობლემას არ წარმოადგენს. Microsoft Corporation-ის შეფასებით, 2012 წელს, საქართველოში არსებული კომპიუტერების 89%, ძველებურად არალიცენზირებული პროგრამებით არის აღჭურვილი, რაც ხშირად უიოლებს ჰაკერებს კომპიუტერების გატეხვას.

ინტერნეტპროვაიდერ **Caucasus Online**-ის ყოფილი მფლობელის მამია სანადირაძის მტკიცებით, **„ნაცმოძრაობის“ მთავრობა ცნობილი იყო თავისი მოქალაქეების მოსმენებითა და მათ კომპიუტერებში შეღწევით. „ამ ქვეყანაში არა მხოლოდ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, არამედ ყველაფერი ირღვეოდა“,** — ამტკიცებს სააკაშვილის კრიტიკოსი.

როგორც ჩანს, საკანონმდებლო დონეზე საქართველოს მომხმარებლების დაცვა მსგავსი არასანქცირებული თავდასხმებისგან მათი თვალთვალის მიზნით, დღესდღეობით არ შედის არც „ქართული ოცნების“ და არც „ნაციონალური მოძრაობის“ კანონშემოქმედებით პრიორიტეტებში. კომპიუტერულ უსაფრთხოებაზე 2012 წლის კანონის რეალიზაციისთვის, კვლავ დამატებითი საკანონმდებლო აქტების მიღებაა საჭირო.

მოლი კორსო,
Eurasianet.org

დედამიწის ზურგზე

მეტეორიტებმა გაანათეს კუბის, აშშ, ბრიტანეთისა და არაბთა გაერთიანებული საამიროების ზეცა

ჩელიაბინსკის თავზე მეტეორიტის აფეთქების შემდეგ აღმოჩნდა, რომ მანათობელი ბურთები დაინახეს ჩრდილოეთი ნახევარსფეროს რამდენიმე ადგილას. კუბისთვის მეტეორიტს გვერდით არ ჩაუქროლია, ის გამაყრუებლად აფეთქდა, შეარყია შენობები. აფეთქებებს ამჩნევდნენ ურალის ინციდენტამდე ერთი კვირით ადრე.

* * *

მსოფლიოს იარაღის მწარმოებელთა ტოპ-ასეულში რუსეთის რვა კომპანია მოხვდა

„სიპრის“ 2011 წლის რეიტინგში რუსეთის საწარმოებს უკავიათ პოზიციები 18-დან 69 ადგილამდე დიაპაზონში. ყველაზე მაღალი გაყიდვები აქვს „გაერთიანებულ ავიასამშენებლო კორპორაციას“, სიას სათავეში უდგანან ამერიკული და ბრიტანული კომპანიები. მთლიანად გაყიდვათა მოცულობები 5 პროცენტით შემცირდა მკაცრი ეკონომიკისა და ახლო აღმოსავლეთში მიწოდებათა შემცირების გამო.

* * *

საბჭოთა ოფიცერმა პეტროვმა, რომელმაც მსოფლიო ბირთვული ომისგან გადაარჩინა, მიიღო დრეზდენის პრემია

პრესტიჟული ჯილდო და 25 ათასი ევრო რუსეთელს გადაეცა მის მიერ 1983 წელს ჩადენილი საქციელისთვის. მაშინ პეტროვი მორიგეობდა მოსკოვთან სამეთაურო პუნქტში, და როდესაც მიიღო სისტემის ცნობა ბირთვული თავდასხმის შესახებ, მიხვდა, რომ ეს იყო სიყალბე. დასავლეთმა არაერთგზის გადაუხადა მადლობა მას ამისთვის, აი სსრ კავშირში კი პეტროვმა მხოლოდ საყვედურები მიიღო.

* * *

ჰავაის კუნძულებზე ძალიშვილმა გაცურა სასიკვდილოდ სახიფათო თეთრ ზვიგენზე

როგორც ცხოველთა უფლებების უშიშარმა დამცველმა ოუშენ რამსიმ ისაუბრა, თავდაპირველად ის ცურავდა ზვიგენთან ახლოს, შემდეგ მშვიდად მიუახლოვდა მას, ხელი გადაუსვა საშიშ თევზს, და ამ უკანასკნელმა ნება მისცა მას ხელი მოეკიდა მისი ფარფლისთვის და ეცურა მასთან ერთად. რამსის სიტყვებით, ეს ჰგავდა მის ურთიერთობას ცხენებთან.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

„არაფერი, სიმართლის გარდა!“

რეჟისორი ვლადიმერ ბორტკო იმის შესახებ, თუ როგორ შევინარჩუნოთ ხალხი და ისტორია

დოსიე

ვლადიმერ ბორტკო, რეჟისორი. დაიბადა 1946 წელს მოსკოვში. 1974 წელს დაამთავრა კიევის თეატრალური ხელოვნების ინსტიტუტი. გადაიღო ფილმები „იდიოტი“, „ოსტატი და მარგარიტა“, „ტარას ბულბა“, „პეტრე პირველი. ანდერძი“. რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო დუმის კულტურის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე.

ინტერვიუზე რეჟისორი პირდაპირ დუმის კულტურის კომიტეტის სხდომიდან მოვიდა.

„ყველგან ფულია!“

— რას განიხილავდით, ბატონო ვლადიმერ? კვლავ მრავალტანჯულ საკითხს კულტურაზე?

— კი, მაგასაც.

— მაგის მიღებას, მგონი, უკვე 20 წელია ცდილობენ. რატომაა, რომ ქვეყნის ხელმძღვანელობა ასე არ სწყალობს კულტურას?

— ყველაფერი მეტად მარტივია: რუბლია სათავეში! როგორც იმ სიმღერაშია: „ყველგან ფული, ფული, ფული. ყველგან ფულია, ჩემო ბატონო!“ რა სხვაობაა ამჟამინდელ, მოდით, ლიბერალური ვუწოდოთ, და საბჭოთა პერიოდებს შორის? საქმიანობის მიზანდასახულობაში. ვინაიდან საბჭოთა ხელისუფლების დროს — გინდათ თუ არა — არსებობდა თუნდაც დეკლარაცია, რომ ყველაფერს უმაღლესი მიზნისთვის ვაკეთებდით. დღეს კი გამუდმებით გესმის: „მოთამაშეებმა ბაზარზე დაიწყეს...“ მომისმინეთ, ვინ არიან ეს მოთამაშეები?! ისინი ხომ თამაშობენ ჩემით, თქვენით. ჩვენი ცხოვრებით. მე ეს არ მინდა! ასე რომ, მიზანი არ არსებობს! თუ არსებობს? მაშ, როგორია იგი? „გამდიდრდით?!“ როგორც დღეს კამბოჯის ციხის ერთ-ერთი პატიმარი ამბობს: „თუ მილიარდი არა გაქვს, წადი შენი დედაც...“ ზუსტადაა. სხვათა შორის, მან გამოხატა თავისი აზრი! მაგრამ არა მაქვს მე მილიარდი. არც მილიონი. მაგრამ სადაც მაგ-ზავნის, თვითონ წავიდეს.

ჩემთვის ასეთი ფილოსოფია გაუგებარია. ჩემთვის სხვა რამაა უფრო მახლობელი.

— ახლა, სხვათა შორის, ხშირად გაისმის მოწოდება: „მოდით, მოვნახოთ სულიერების შემაკავშირებელი რამ, რაც კვლავ გააერთიანებს საზოგადოებას“.

— თანახმა ვარ, ჩვენი მრავალეროვნული რუსეთის ფედერაცია რაღაცამ უნდა შეაკავშიროს. საბჭოთა ხელისუფლების დროს, გავიმეორებ, გვაერთიანებდა სოციალისტური იდეა: არაა არც ელინი, არც იუდეველი, არის საერთო ნათელი ხვალის აშენების იდეა, რომელიც აერთიანებდა ჩვენი ქვეყნის მრავალ ერს ერთიან საბჭოთა ხალხად. აიო, ეს იდეა, ამბობენ, თავიდან ბოლომდე სრულიად ყალბი იყოო. შეიძლება, ის რაღაცაში მართლაც იყო ყალბი. მაგრამ ის ხომ მუშაობდა! ჩვენ მოვიგეთ ომი და არ დავნგრეულვართ, როგორც ჰიტლერი ვარაუდობდა. და შენ საღამოობით შეგეძლო გევლო ტაშკენტის ან ბაქოს ქუჩებში. დღეს აბა მოსკოვში გაიარეთ!

როდესაც მებრძოლებმა გაანადგურეს სოციალისტური იდეა, სამაგიეროდ არაფერი შემოუთავაზებიათ. და, სხვათა შორის, არც შემთხვევით. მათ არ სჭირდებოდათ რუსეთის ძლიერი, გამაერთიანებელი იდეა. და აი, მივიღეთ კიდეც ქვეყანა ასობით მილიონი ადამიანით, 120 ეროვნებით და ა.შ., რომლებსაც არაფერი აერთიანებთ! ერთი მიპასუხეთ: რატომ უნდა ცხოვრობდნენ იაკუტელები ჩეჩნებთან ერთად? ყარაჩაელები არხანგელსკის ოლქთან ერთად? რატომ? ჩემი გამაერთიანებელი იდეა — ხალხის შენარჩუნებაა. არა მხოლოდ რუსი ხალხისა — ყველასი. მე მხარს ვუჭერ დიდ თათარ ხალხსაც, დიდ იაკუტელ ხალხსაც. რომლებმაც რეფერენდუმზე უნდა თქვან, ვისთან უნდათ ცხოვრება. და როდესაც ისინი გადაწყვეტენ, რომ სურთ იყვნენ ერთ ოჯახში, რომელსაც აქვს სახელმწიფო, რუს ხალხთან — ხოლო ის, რომ ისინი ამას იტყვიან, ეჭვიც არ მეპარება — დამოკიდებულება ამ კავშირთან მათ სრულიად სხვაგვარი ექნებათ!

სირბილი წრეში

— თქვენ აპირებდით ფილმის გადაღებას სტალინზე. და უეცრად ახალი ამბავი: ამ პროექტის რეალიზება არ გირჩიეს. რისი თქმა გინდოდათ?

— სიმართლის! ვინაიდან ის ყველაზე მეტად ცილდაწამებული პიროვნებაა მთელ XX საუკუნეში. ყველაზე მეტად! ციტატა ნიკიტა ხრუშჩოვის გამოსვლიდან XX ყრილობაზე: „და განა ის (ესე იგი სტალინი) ხელმძღვანელობდა ფრონტებს, ამხანაგებო? არა, ის მხოლოდ მიდიოდა გლობუსთან და აჩვენებდა!..“ და ამას ამბობდა ადამიანზე, ვინც, მართლაც, აღზარდა კიდეც ყველა საბჭოთა მარშალი! ნახეთ რა საინტერესო ამბავია: რატომაა, რომ სწორედ ჟუკოვს, არ მინდა დავამცირო მისი დიდი დამსახურებანი, უწოდებენ „გამარჯვების მარშალს“? და არა ვასილევსკის? და არც როკოსოვსკის, რომელიც ყველაზე ნიჭიერი იყო მათ შორის? იმიტომ, რომ გაწირა გაცილებით ნაკლები ხალხი და გააკეთა გაცილებით მეტი? იმიტომ, რომ ეს არის მცდელობა, ამოშალონ ხალხის მეხსიერებიდან გამარჯვებული სტალინის სახე, შეცვალონ იგი გამარჯვების მარშლით.

რა არის სტალინი? ეს არის ადამიანი, რომელმაც 30 წლის განმავლობაში ქვეყანა აქცია ისეთად, სადაც ყველაზე მეტს კითხულობენ. საბჭოთა კავშირში რეკორდულ ვადებში აღმოიფხვრა წერა-კითხვის უცოდინარობა. დიახ, მაშინაც იღებდნენ და იძლეოდნენ ქრთამს. მაგრამ ისეთი მასშტაბით, რომელიც არ ემუქრებოდა სახელმწიფოს არსებობას. პასუხისმგებლობა მათთვის იყო რეალური, თანაც გარდაუვალი.

სტალინის დროს სახელმწიფოში იყო ყველაზე მოწინავე მეცნიერება, რომელმაც დაამუშავა მათ შორის ატომური ბომბი, რაკეტაც, რომელმაც კოსმოსში გაიყვანა ადამიანი. სხვათა შორის, ჩვენ დღეს აღარც უნდა ვყოფილიყავით. ეიზენჰაუერის დროინდელ ამერიკელებს ჰქონდათ გეგმა („მომენტალური დარტყმა“): ჩამოეყარათ 70 ბომბი საბჭოთა ქალაქებში. და სტალინის წინაშე იდგა ამოცანა: უმოკლეს დროში გაეკეთებინა ისეთი რამ, რომ შეეჩერებინათ ამერიკელები. და გააკეთეს!

ახლა ხელოვნება ავიღოთ! იმ წლებში მოღვაწეობდა სტანისლავსკი, რომლის სისტემასაც დღემდე აღმერთებს თეატრალური სამყარო. მუსიკა! შოსტაკოვიჩი, ხაჩატურიანი. ბალეტი, სწორედ ის, რომელშიც მთელი პლანეტის წინ ვიყავით. ულანოვა, ლიეპა, ჭაბუკიანი... ესეც მაშინ იყო! ლიტერატურა! ის, რასაც ყველა ჩვენგანი კითხულობდა და კითხულობს დღემდე — შოლოხოვი, ალექსეი ტოლსტოი, ბულგაკოვი...

რეპრესიები — კი, იყო რეპრესიები. მაგრამ რატომღაც არ იხსენებენ ერთ დეტალს: ამ დახვრეტილთა ერთ სიას სტალინის ხელით ეწერა: „ნიკიტა, დაცხრი!“ იმიტომ რომ პირველი, ვინც თქვა, რომ საჭიროა გაიზარდოს კატეგორია „ა“ — დახვრეტა, იყო ნიკიტა. და ეს ისტორიული სიმართლეა! და იმისთვის, რომ ამომხტარიყვნენ ამ ისტორიიდან, რათა გადაეშალათ, რაც გაკეთდა, რასაც ხელი მოეწერა, რაც იქნა მიღებული, და იმისთვის რომ მოეგოთ ბრძოლა ხელისუფლებისთვის, გამართეს XX ყრილობა.

რაღაც ამგვარი, სხვათა შორის, ხდებოდა მეფე პეტრე პირველის სიკვდილის შემდეგ. პეტრემ შეძლო — შეექმნა იდეალურ შემსრულებელთა მთელი პლეადა. და პირველი მათ შორის იყო ალექსანდრ მენშიკოვი. ქურდი, თუმცა დიდებული შემსრულებელი! ვინ ააშენა, არსებითად, პეტერბურგი? ალექსაშკამ! ის წყვეტდა ყველაზე რთულ პრობლემებს, ის პეტრეს მარჯვენა ხელი იყო. პეტრეს ჰქონდა უძვირფასესი უნარი — შეერჩია საუკეთესოები. და გარს ეხვია ჭეშმარიტად დიდი შემსრულებლები. და აი, პეტრე კვდება. და რჩება ხალხი, რომელმაც იცის, როგორ გააკეთოს, მაგრამ არ იცის რა. და იწყება ჩხუბი, ხელისუფლების გაყოფა. რით დაამთავრა „ამხანაგმა მენშიკოვმა?“ გადასახლებით. სად აღმოჩნდა სტალინის უახლოესი გარემოცვა მისი გარდაცვალების შემდეგ? ვიღაცამ საქმე დაკარგა, ვიღაცა სამარეშია... თავად ნიკიტა — აგარაკზე! მადლობა ღმერთს, არ დახვრიტეს.

მე მინდოდა, მომეთხრო იოსებ ბესარიონის ძე სტალინზე სიმართლე და არაფერი სიმართლის გარდა! მეცნიერებათა ექვსი დოქტორი წერდა ჩემთან ერთად სცენარს. ყველაფერი იყო დოკუმენტებზე დამყარებული. ეს არის პერიოდი ჩვენი ქვეყნისა და მისი გენერალისიმუსის უდიდესი ტრიუმფიდან — ბერლინის აღებიდან, სტალინის მკვლელობამდე 1953 წელს. ის, რომ იგი ნამდვილად მოკლეს, ჩემთვის ცხადია. იქ არის ყველა-ყველა! — უნდოდათ მისი მოკვლა. დაწყებული ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტიდან და ჩერჩილიდან და დამთავრებული პოლიტბიუროს გადამდგარი თუ გადაყენებული წევრებით და უახლოესი გარემოცვით, რომლებსაც ასევე მიაჩნდათ, რომ გადაბერდა მოხუცი. მაგრამ ასეთი სერიალის გადაღება ნიშნავდა გადაგვესინჯა დამკვიდრებული შეხედულებანი ჩვენს ისტორიაზე. ამისთვის კი საზოგადოება მზად არ არის.

— შეცვლით სცენარს?

— არა, ახლა ვმუშაობ არხ „როსიასთან“, ხალხთან, ვისაც პატივს ვცემ. მათთან ერთად გადავიღებ ფილმს „ჯაშუშის სული“. არის ასეთი შესანიშნავი ადამიანი, ყოფილი მზვერავი მიხაილ ლიუბიმოვი. მან დაწერა წიგნი „და სდევდა იმათ ჯოჯოხეთი...“ — ის XX საუკუნის 80-იან წლებში მოქმედებდა. მე კი მოქმედება ჩვენს დღეებში გადმოვიტანე — ეს იქნება საუბარი ჩვენს აგენტზე ლონდონში.

იულია შიგარიოვა

Аргументы и факты

ენერგეტიკის ვეტერანთა კავშირის 2012 წლის ფინანსური ანგარიში

2012 წლის შემოსავალია 31738 ლარი, ნაშთით შემოსავალი 33466 ლარია, ხარჯი 30575 ლარი.

ჩატარდა 44 ვეტერან-ენერგეტიკოსის საიუბილეო თარიღების აღნიშვნა „ფურშეტით“ და საჩუქრებით, დაიხარჯა 2917 ლარი, ფოტოებზე 124 ლარი, ვეტერანებზე დახმარება 3194 ლარი, საკანცელარიო ხარჯი 415 ლარი, ადმინისტრაციაზე, კომუნალურ მომსახურებაზე და კომპიუტერზე 22422 ლარი, მივლინებაზე 270 ლარი, ბანკის მომსახურებაზე 97 ლარი, ამორტიზაცია 293 ლარი, ქონების გადასახადი 13 ლარი, აუდიტის მომსახურებაზე 100 ლარი, ჟურნალ-გაზეთებზე 210 ლარი, გაზეთში განცხადებების გამოქვეყნებაზე 420 ლარი, საქველმოქმედო თანხა — ეკლესიის მშენებლობაზე 100 ლარი.

ბალანსი 1/I-2013 წლისათვის

აქტივი	წლის დასაწყისში	საანგარიშო პერიოდის ბოლოს	პასივი	წლის დასაწყისში	საანგარიშო პერიოდის ბოლოს
მიმდინარე აქტივები (1110, 1210, 1220)	406	1639	მიმდინარე ვალდებულებები (3390)	—	—
სასაქონლო მატერიალური მარაგი (1690, 1700, 1900)	85	80	სხვა რეზერვები და მიზნობრივი დაფინანსება	1728	2891
გრძელვადიანი აქტივი (2160)	1237	1172			
სულ აქტივები	1728	2891	სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი	1728	2891

თავმჯდომარე რევო მშვიდობაძე
ბუღალტერი ციცინო ბენაშვილი

◎ ინფორმაცია

„ღორის გრიპით“ კიდევ ორი ადამიანი გარდაიცვალა

რუბრიკა დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრიდან გადამდებ დაავადებათა დეპარტამენტის უფროსმა ხათუნა ზახაშვილმა განაცხადა, დღეისთვის H1N1 ვირუსის ლაბორატორიულად დადასტურებული 143 შემთხვევაა აღრიცხული. 7 ადამიანი გარდაიცვალა. რეგისტრირებული შემთხვევებიდან ათი B ტიპის ვირუსია, დანარჩენი — A ტიპის.

— ახალი შემთხვევები ყოველდღიურად ფიქსირდება და რამდენიმე კვირა ასე გაგრძელდება. ლაბორატორიულად დაუდასტურებელი შემთხვევების გარდა, უამრავი დაუდასტურებელი შემთხვევაა. ცენტრში სინჯებს მძიმე შემთხვევებიდან ვიღებთ, — დასძინა ზახაშვილმა.

ინტერპრესი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ სტუმარი

გარი კასპაროვი: ჭადრაკს თქვენთან კვლავ აქვს სახელმწიფოს მხარდაჭერა

საძართველოს საქმიანი ვიზიტით ჭადრაკის დიდოსტატი და მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი მოჭადრაკე გარი კასპაროვი სტუმრობს. კასპაროვი გუშინ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ეწვია, სადაც მინისტრის პირველ მოადგილე ზურაბ აზმაიფარაშვილთან ერთად პრესკონფერენცია გამართა.

მედიასთან დიალოგს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი გიორგი გიორგაძე და სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის მოადგილეები თამაზ თევზაძე და რატი ბრეგაძე დაესწრნენ.

პრესკონფერენციაზე კასპაროვმა ჭადრაკის სასკოლო საპილოტე პროგრამის შესახებ ისაუბრა, რომელიც საქართველოს 100 საჯარო სკოლაში დაინერგება. პროგრამა ქართულ ენაზე ითარგმნა და ქართულ სკოლებში არსებულ სასწავლო პროგრამასთან ადაპტირდა.

ბრიფინგზე კასპაროვმა კომენტარი 2014 წლის სოჭის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზეც გააკეთა და აღნიშნა, რომ მიუხედავად აქამდე დახარჯული 50 მილიარდი დოლარისა, რუსეთის ფედერაციას ოლიმპიური თამაშების ორგანიზების მხრივ სერიოზული პრობლემები აქვს და დღევანდელი გადასახედიდან, ოლიმპიადის ჩატარება, შესაძლოა, კატასტროფის წინაშე დადგეს.

პრესკონფერენციის შემდეგ, კასპაროვმა პროგრამის – „ჭადრაკი სკოლაში“ ფარგლებში თბილისის პირველ ექსპერიმენტულ სკოლაში საჩვენებელი გაკვეთილი ჩაატარა. მის მსვლელობას პარალელურ რეჟიმში ქუთაისის 21-ე და ფოთის მე-2 სკოლის მოსწავლეებიც შეუერთდნენ.

გარი კასპაროვი: „ყოველთვის მოხარული ვარ საქართველოში ვიზიტით. ამჯერად ჩემს ვიზიტს მხოლოდ სპორტული მნიშვნელობა აქვს. ძალიან კარგია, რომ გასულ წელს დაგეგმილი სასკოლო ჭადრაკის პროგრამის რეალიზება მიმდინარეობს და ჭადრაკს სახელმწიფოს მხრიდან კვლავ აქვს მხარდაჭერა. საქართველოს სკოლებში ჭადრაკის სასკოლო პროგრამის დანერგვა, ვფიქრობ, ზოგადად ჭადრაკის პოპულარიზაციას კიდევ უფრო მეტად შეუწყობს ხელს და ასევე გავლენას იქონიებს მოზარდების სამომავლო განათლებასა და აზროვნების დახვეწაზე.“

ზურაბ აზმაიფარაშვილი: „მართლაც სასიხარულოა, რომ საქართველოს ისეთი დონის მოჭადრაკე სტუმრობს, როგორიც გარი კასპაროვია. კასპაროვთან ერთად ჩვენ საქართველოს სკოლებში ჭადრაკის სწავლების იმ თანამედროვე პროგრამის დანერგვას ვცდილობთ, რომელიც მოსწავლეებს არა მხოლოდ ჭადრაკს, არამედ სწრაფად აზროვნებას შეასწავლის. ეს ყოველივე კი მოზარდების შემეცნების და განათლების თვალსაზრისით, ძალზედ მნიშვნელოვანია“.

გიორგი გიორგაძე: „პროგრამა „ჭადრაკი სკოლაში“ ჩვენთვის მართლაც მნიშვნელოვანი პროექტია. ასევე სასიხარულოა, რომ გარი კასპაროვის საჩვენებელ გაკვეთილებში საქართველოს რეგიონული სკოლებიც ჩაერთვებიან და ქუთაისისა და ფოთის სკოლების მოსწავლეებსაც მიეცემათ შანსი მსოფლიოს უძლიერესი მოჭადრაკის გაკვეთილები მოისმინონ. ასე რომ, დასაწყისი ძალზე კარგია და, იმედი გვაქვს აღნიშნული პროგრამა სამომავლოდ დიდ წარმატებას მოგვიტანს.“

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ფარიკაობა

მუშკეტერები - მადიარებთან

კადეტი და ახალგაზრდა მოფარიკავეები 25 თებერვლიდან უნგრეთის დედაქალაქში ევროპის პირველობაზე მოიყრიან თავს. სხვა ქვეყნების წარმომადგენლებთან ერთად იქ საქართველოს წარგზავნილებიც იქნებიან. საპრიზო ადგილებისთვის იბრძოლებენ: კადეტებში – ლუკა ღაღანიძე და თეონა გოგლიძე (ორივე – რაპირა), საბა სულამანიძე (ხმალი) და მიქაელ მიქაელიანი (დაშნა). ისინი ახალგაზრდებსაც გაეჯიბრებიან მოხმალავე სანდრო ბაზაძესთან და მიხეილ მარდალეიშვილთან ერთად. კონტინენტის ჩემპიონატზე წამსვლელთა ვინაობა ახალგაზრდებში საქართველოს პირველობის დასრულების შემდეგ გაირკვა. ამ შეჯიბრებას, რომელშიც თბილისის, რუსთავის, ქუთაისის, ზესტაფონის, აჭარისა და აფხაზეთის 86 მოფარიკავე მონაწილეობდა, გასულ უქმეებზე ვაკის ფარიკაობის დარბაზმა უმასპინძლა. დაძაბული ორთაბრძოლების შემდეგ კვარცხლბეკზე ავიდნენ:

ხმალი. გოგონები. 1. ანა სინატაშვილი (ქუთაისი), 2. ქრისტინე ნოზაძე, 3. ელენე ნანობაშვილი, ანა აფრასიძე (სამივე – თბილისი). **ვაჟები.** 1. სანდრო ბაზაძე, 2. დავით უკლება (ორივე – ქუთაისი), 3. ნიკოლოზ შენგელია (თბილისი), ვაჟა რეჭია (ქუთაისი).

რაპირა. გოგონები. 1. თეონა გოგლიძე, 2. ნუცა იაგორაშვილი, 3. ანა მელია (სამივე – თბილისი), მარიამ ცუხიშვილი (რუსთავი). **ვაჟები.** 1. ლუკა ღაღანიძე (თბილისი), 2. არჩილ უგულავა (ბათუმი), 3. გიორგი გელაშვილი (თბილისი), ნიკოლოზ ვეფხვიაშვილი (რუსთავი).

დაშნა. გოგონები. 1. მარია ზაკირჩენკო, 2. ქრისტინე მიქაძე, 3. ნინო გაბუნია (სამივე – ქუთაისი), მარიამ ცუხიშვილი (რუსთავი). **ვაჟები.** 1. მიქაელ მიქაელიანი (თბილისი), 2. ირაკლი ფანცხავა, 3. ანრი სიმსივე, ირაკლი ამბროლაძე (სამივე – ქუთაისი).

9-10 მარტს უნგრეთის დედაქალაქშივე გაიმართება მსოფლიოს თასის ეტაპი – გრან-პრის გათამაშება. ამ ტურნირში საპრიზო ადგილებისთვის ბექა და სანდო ბაზაძეები, მიხეილ მარდალეიშვილი, ლუკა ობოლაძე და საბა სულამანიძეც იბრძოლებენ.

ნატა ნიბლაძე

სურათზე: მარცხნიდან – მარია ზაკირჩენკო, ლუკა ღაღანიძე, თეონა გოგლიძე და მიქაელ მიქაელიანი.

ვაჟა დანელიას ფოტო.

◎ სიტუაცია

ისნის ჭიდაობას მარტინეტის წასვლა?!

შეგახსენებთ, რომ ამას წინათ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომმა ჭიდაობა სპორტის იმ სახეობათა ნუსხაში შეიტანა, რომლებიც 2020 წლის ოლიმპიური თამაშების პროგრამაში, შესაძლოა, არ შეიტანონ. ამან მთელი საჭიდაო სამყარო შეაშფოთა და გასულ უქმეებზე ტაილანდურ პატაიაში სასწრაფოდ მოიწვიეს FILA-ს ბიუროს რიგგარეშე სხდომა, რომელზეც ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი, იტალიური წარმოშობის შვეიცარიელი რაფაელ მარტინეტი, რომელიც მოჭიდავეთა ოჯახს 2002 წლიდან ედგა სათავეში, თანამდებობიდან გადააყენეს. FILA-ს რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნები აპრილის ბოლოს ან მაისის დასაწყისში მოსკოვში გაიმართება, მანამდე კი ამ ორგანიზაციას ბიუროს სერბი წევრი ნენად ლალოვიჩი უხელმძღვანელებს. „ახლა ჩვენი საზრუნავია, ჭიდაობა ოლიმპიადის პროგრამაში დავტოვოთ. მდგომარეობიდან გამოსასვლელად სოკ-ს კომპრომისულ ვარიანტებს შევთავაზებთ“, – განაცხადა რუსეთის ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტმა, ოლიმპიურმა ჩემპიონმა მიხეილ მამიაშვილმა, რომელსაც სახელოვან რუს ფალავან ალექსანდრე კარელინთან ერთად ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტობის კანდიდატად მოიაზრებენ. დღეს არავის ეეჭვება, რომ სოკ-ის ხელმძღვანელობამ ეს აქცია კორუფციის ჭაობში ჩაფლული მარტინეტის თავიდან მოსაშორებლად მოაწყო, ამიტომ, შესაძლოა, სექტემბრის სესიაზე ჭიდაობა უპრობლემოდ დატოვონ ოლიმპიადის პროგრამაში, თუმცა ბევრი რამ იმაზეც იქნება დამოკიდებული, FILA პრეზიდენტად ვის აირჩევს.

გივი გაგუა

◎ რაგბი

„ლელომ“ მდგომარეობა გაიმყარა

გასულ უქმეებზე საქართველოს მორაგბეთა 23-ე ეროვნული ჩემპიონატი განახლდა. მე-13 ტურის ცენტრალური შეხვედრა ავჭალის სტადიონზე გაიმართა, სადაც ლევანდელი გათამაშების ერთპიროვნული ლიდერი „ლელო“ ქვეყნის ჩემპიონსა და თასის მფლობელ „არმიას“ დაუპირისპირდა. მატჩის პირველი წუთები ორმხრივი იერიშებით წარიმართა, მაგრამ შესვენებამდე არმიელებმა შეძლეს მცირე უპირატესობის მოპოვება და თხილაიშვილის ორი ზუსტი საჯარიმო დარტყმის წყალობით 6:0 დაწინაურდნენ. მეორე ტაიმში სიტუაცია შეიცვალა: ლიდერმა ხელთ იგდო ინიციატივა, ჩემპიონატში მე-12 გამარჯვება იზეიმა – 19:16 და პირველ წრეში განცდილი მარცხისთვის რევანში აიღო, თან უახლოეს მდევარ „არმიას“ 5 ქულით გაუსწრო.

იმავე „ავჭალაზე“ დიდი ინტერესი გამოიწვია „ლოკომოტივისა“ და „აიას“ პაექრობამ. ქვეყნის ყველაზე ტიტულოვანი გუნდების პირველი შეხვედრა ქუთაისში შარშან ფრედ დამთავრდა (ერთადერთი ზავი 12 ტურში). განმეორებით დაპირისპირებაშიც მნიშვნელოვან უპირატესობას ვერც ერთმა მხარემ ვერ მიაღწია. მართალია, თავიდან სტუმრები დაწინაურდნენ – 7:0, თუმცა რკინიგზელებმა შეძლეს მდგომარეობის გამოსწორება. თამაშის დამთავრებამდე ორი წუთით ადრე რიონისპირელები მატჩს 13:10-ს იგებდნენ, მაგრამ წიკლაურმა ზუსტი საჯარიმო დარტყმით „ლოკომოტივი“წაგებას გადაარჩინა - 13:13.

ტურის დანარჩენი ორთაბრძოლები ასე დამთავრდა: „არმაზი“ – „ბათუმი“ 23:16, „ხარები“ – „ყოჩები“ 29:16, „ჯიქები“ – „აკადემია“ 32:0.

სატურნირო მდგომარეობა 13 ტურის შემდეგ: „ლელო“ – 56 (+210), „არმია“ – 51 (+133), „აია“ – 42 (+158), „არმაზი“ – 42 (+55), „ჯიქები“ – 31 (+20), „ლოკომოტივი“ – 29 (+22), „ხარები“ – 20 (-96), „ბათუმი“ – 15 (-113), „აკადემია“ – 14 (-241), „ყოჩები“ – 7 (-148).

მე-14 ტურში ითამაშებენ: „არმია“– „არმაზი“, „ჯიქები“– „ლოკომოტივი“, „აკადემია“ –„ყოჩები“, „აია“ – „ლელო“, „ბათუმი“ – „ხარები“.

* * *

საძართველოს 18-წლამდელ მორაგბეთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატისთვის ემზადება. ამ შეჯიბრებას საფრანგეთი უმასპინძლებს. მეოთხედფინალში ქართველები ირლანდიელებს დაუპირისპირდებიან (დანარჩენი წყვილები: ინგლისი-პორტუგალია, საფრანგეთი-იტალია, უელსი-შოტლანდია). ილია მაისურაძის შეგირდებს, როგორც ხედავთ, სამფეროვანთა ქვეყანაში მრისხანე მეტოქე ეყოლებათ, ამიტომ ოსტატობის ასამაღლებლად არაფერს იშურებენ. „შევარდენის“ სანაკრებო ბაზაზე“ უმცროსმა „ბორჯღალოსნებმა“ „ლონდონ ვოსფსის“ თანატოლთა გუნდს უმასპინძლეს. ჩვენმა ბიჭებმა ალბიონელებს დიდი ანგარიშით – 48:12 მოუგეს.

ლექსო ცინცაძე

◎ ჭადრაკი

ვაკანტური ადგილები შეივსო

წლეულს 2 მარტიდან ყაზახეთის დედაქალაქი ასტანა მოჭადრაკე ქალთა გუნდურ მსოფლიოს ჩემპიონატს უმასპინძლებს. შეჯიბრებაში საპრიზო ადგილებისთვის 10 ქვეყნის წარმომადგენლები იბრძოლებენ, მათ შორის – საქართველოს ნაკრები, რომელმაც წინა ჩემპიონატზე (2011 წ.) ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა. ფედერაციის ხელმძღვანელობამ გუნდში პერსონალურად მიიწვია ნანა ძაგნიძე, ბელა ხოტენაშვილი და ლელა ჯავახიშვილი, ხოლო ორი ვაკანტური ადგილის დასაკავებლად სამი დიდოსტატის მონაწილეობით ორწრიანი მინი ტურნირი გაიმართა. ნინო ხურციძემ და სალომე მელიამ 4-4 შესაძლებლიდან 2,5-2,5 ქულას მოუყარეს თავი და ასტანაში თამაშის უფლება მოიპოვეს. ნინო ბაციაშვილმა მხოლოდ ერთი ქულის მოგროვება შეძლო.

შეგახსენებთ, რომ ყაზახეთის დედაქალაქში იასპარეზებენ: ჩინეთი, რუსეთი, უკრაინა, საქართველო, ინდოეთი, სომხეთი, აშშ, რუმინეთი, ყაზახეთი და თურქეთი.

ლაშა დიდია

◎ ფეხბურთი

ევროპის სტადიონებზე

იტალია. „რომა“ – „იუვენტუსი“ 1:0, „მილანი“ – „პარმა“ 2:1, „ფიორენტინა“ – „ინტერი“ 4:1.

ესპანეთი. „გრანადა“ – „ბარსელონა“ 1:2, „რეალი“ – „რაიო ვალეკანო“ 2:0, „მალაგა“ – „ბილბაო“ 1:0.

გერმანია. „ვოლფსბურგი“ – „ბაიერნი“ 0:2, „ბორუსია“ – „აინტრახტი“ 3:0, „შტუტგარტი“ – „ჰოფენჰაიმი“ 0:1.

საფრანგეთი. „სოშო“ – „პარი სენ-ჟერმენი“ 3:2, „ბორდო“ – „ლიონი“ 0:4.

პოლანდია. „ეინდჰოვენი“ – „უტრეხტი“ 2:1, „ვიტესი“ – „გრონინგენი“ 2:0.

გიორგი ჯოთაძე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ შაბათ-კვირის ჩანაწერები

აკაკი მთარგმნელი კი არა, ავტორი ყოფილა...

გვარიანად გასაკვირი ფაქტი ვნახე ჩემი მესამეკლასელი შვილიშვილის ქართული ენის სახელმძღვანელოში: ცნობილ იგავ **„მგელსა და კრავს“** ბოლოში ავტორად **აკაკი წერეთელი** აქვს მიწერილი. არადა, დღემდე გვეგონა (უფროსმა თაობამ, ასე ვისწავლეთ) რომ ამ იგავ-არაკის ავტორი **ივანე კრილოვია,** ხოლო **აკაკი წერეთელი** – მთარგმნელი. რა ვქნა, ანანიკოს როგორ ავუხსნა ეს ყოველივე?.. ჯერ უნდა მე თვითონ გავარკვიო, რაშია საქმე. ვრეკავ სახელმძღვანელოს ერთ-ერთ შემდგენელთან, შესანიშნავ ფილოლოგთან და ლიტერატორთან **ავთანდილ არაბულთან.** ვუყვეგი რაც ვნახე.

– ეს ფაქტი, მარტო თქვენ კი არა, ალბათ, სხვებსაც გაუკვირდებათ, – მეუბნება ავთანდილი, – იგავ-არაკები, ძირითადად, მოარული სიუჟეტებია, აქ ავტორისეული, ნაკლებადაა... ადრე, როგორც ვიცით, პირდაპირ აწერდნენ – „კოზლოვიდან“, „კრილოვიდან“... ეზოპეს უამრავი იგავი აქვს ასეთი... მე, პირადად, ვემხრობი ამ პოზიციას.

– რომ იჩივლონ რუსებმა?!

– ვერ იჩივლებენ... იქნებ, კრილოვმა ეზოპესგან წამოიღოს სიუჟეტი?.. ასე რომ, „დიდ კაცთან პატარა კაცსა“, ამ შემთხვევაში, გაუვა მართალი... თანაც, აკაკის იმდენად ბრწყინვალედ აქვს „მგელი და კრავი“ თარგმნილი, ცოდოც კია, ავტორად არ ითვლებოდეს.

– ანანომ და მისმა ტოლებმა რა ქნან?..

– ისწავლონ, როგორც აკაკი წერეთლის იგავი!..

„ლეილა, ჩაწერე!“

ქაშუეთის ეკლესიის წინ, მიწისქვეშა გადასასვლელში ჟურნალ-გაზეთებთან ვჩერდები. ვათვალიერებ. ჩემს გვერდით შუახნის კაცი სასურველ გაზეთს იღებს და გამყიდველ ქალს მოკლედ ეუბნება: – ჩაწერე!

– კი ბატონო!.. – და გამყიდველიც „დავთარში“ რაღაცას ინიშნავს. ჩემს იქ ყოფნაში ერთიორი ასეთი ფაქტი კიდევ მოხდა: – ლეილა, ჩაწერე, რა!.. – ლეილა, ჩაწერე!..

– მითხარით ერთი, ლეილა (უკვე მეც ვისწავლე სახელი), ამათ ნისიად გაატანეთ ჟურნალ-გაზეთები?

– კი, აბა, რა ქნან, ძვირია ყველაფერი. ახლა წიგნებიც დაემატა გაზეთებს!.. ესენი აქვე ცხოვრობენ, ჩემი „პასტაიანი“ კლიენტები არიან და თავის დროზე მოაქვთ ხოლმე ვალი.

– თქვენ რაღა გრჩებათ?

– ეეეე... ჩემო კარგო, აფხაზეთში მილიონის საღირალი ქონება დამატოვებინეს და თავი ვერ მოვიკალი... პურის ფულს ვიშოვი, არა უშავს... ყველას გვიჭირს დღეს!..

– დევნილი ხართ?..

– კი, სოხუმიდან... მადლობა ღმერთს, მე ეს საქმე მაინც მაქვს... როგორმე უნდა გავიტანოთ ერთმანეთი!..

– რა გვარის ქალი ხართ?

– გოგუა.

– იცოცხლეთ.

გამოვრთოთ ორშაბათობით ტელევიზორები?!.

ერთ საინტერესო ფაქტებით სავსე წიგნში ასეთი რამ ამოვიკითხე: „ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინათ უნგრეთში ორშაბათობით დიდი გამოცოცხლება იყო. ივსებოდა მუზეუმები, საკონცერტო დარბაზები, კინოთეატრები, თეატრები, რადგან ორშაბათობით ტელევიზიებს გამოსასვლელი დღე ჰქონდათ“.

ხედავთ, ბატონებო?! ჩემი აზრით, არ იქნებოდა ურიგო (ვიმსჯელოთ, იქნებ, პარლამენტშიც კი დადგეს საკითხი), მიგვებაძა უნგრელებისთვის. ეს მიბაძვა, უთუოდ სასარგებლოდ წაადგებოდა ჩვენს ყოფას. თუმცა, ალბათ, ბევრი მოწინააღმდეგეც ეყოლება ამ იდეას. „სად მაქვს, თუ კაცი ხარ, კონცერტების, თეატრისა და მუზეუმის ფული?!. ამ დალოცვილ ტელევიზორში უფასოდაა ყველაფერი“. ვისაც არ გვაქვს სათეატრო ან საკონცერტო ფული, ერთ „უტელევიზორო“ საღამოს, ცოლ-შვილსა და შვილიშვილებს მაინც დაველაპარაკოთ, ახლობლებში გავერთოთ ხალხო, თორემ ნამეტანი გაუცხოვდნენ ადამიანები ერთმანეთის მიმართ. ხომ ფაქტია, რომ დაგვამუნჯა ტელევიზორმა!

ჰოდა, იქნებ, მართლაც ღირდეს ამ საკითხზე დაფიქრება?!

ვილენ მარდალეიშვილი

◎ ჩვენი კარაბადინი

ყელს სიცივით კურნავენ

ნაყინი, რომელიც ეხმარება გრიპით დაავადებულებს, გამოიგონეს ამერიკის შეერთებულ შტატებში. საიდუმლოება – რეცეპტშია: ის გულისხმობს თაფლის, კოჭას, ფორთოხლისა და ლიმონის წვენის შემცველობას.

მწარმოებლები ამტკიცებენ, რომ ეს ნაყინი ამცირებს ტკივილს ყელში, აქრობს იქვე „ლიტინს“ და გვიადვილებს დაძინებას. თაფლი ასრულებს საცხის როლს, რომელიც გვეხმარება ძლიერი გაღიზიანების დროს, დანარჩენი შემადგენელი ნაწილები კი – ცხვირის გაწმენდის დროს და სუნთქვის მოწესრიგებაში.

ბავშვობიდანვე ვიცით: თუ ყელი გტკივა, საჭიროა შარფი და თბილი სასმელები. ამერიკელები კი, პირიქით, ყელს სიცივით კურნავენ.

ბაქტერიები მედიცინაზე ძლიერები არიან!

ბაქტერიები იძენენ იმუნიტეტს თანამედროვე პრეპარატების უმრავლესობის მიმართ, ახალი ანტიბიოტიკები კი არ არის, მიაჩნია დიდი ბრიტანეთის მთავარ ექიმს სალი დევისს. „ცხადია, გლობალური დათბობა – კაცობრიობის მთავარი საფრთხე როდია, – განაცხადა დევისმა. – აპოკალიფსი შეიძლება დადგეს, ვთქვათ, 20 წლის შემდეგ, როდესაც მენჯ-ბარძაყის სახსრების ოპერაციამ შეიძლება ლეტალურ შედეგებამდე მიგვიყვანოს, ვინაიდან უბრალოდ აღარ გვექნება ანტიბიოტიკები“. ანტიბიოტიკების გაჩენა თანამედროვე მედიცინის ერთ-ერთ ძირითად მიღწევად ითვლება. მაგრამ ბაქტერიები მალე ეგუებიან მათ. უკვე ცნობილია წამლებისადმი მყარი ტუბერკულიოზის ჩხირების შტამები. დარჩა მხოლოდ ერთი ანტიბიოტიკი, რომელსაც შეუძლია დაძლიოს გონორეა. ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაცია ამტკიცებს, რომ თუ ზომებს არ მივიღებთ, ანტიბიოტიკების ეპოქა შეიძლება დასრულდეს.

კომენტარს უკეთებს მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი ალეძსი ბაღაშვილი:

– ბუნებაში ბევრია მიკრობიოლოგიური ბალანსის შენარჩუნების მექანიზმი. ერთ-ერთი მათგანია ანტიბიოტიკები. ისინი აითვისა კაცობრიობამ, უწინარეს ყოვლისა, იმიტომ, რომ არ არის რთული მათი გამოყოფა, გამოკვლევა და დიდი ოდენობით წარმოება. მაგრამ არის აგრეთვე მიკრობების საწინააღმდეგო პეპტიდები, ფერმენტები, ბაქტერიოცინები, ბაქტერიოფაგები. ეს ანტიბაქტერიული ნივთიერებები საჭიროების შემთხვევაში შეიძლება შევიყვანოთ სამედიცინო პრაქტიკაში. მათი სამრეწველო სინთეზი, ვფიქრობ, უფრო ძვირია. მაგრამ ეს ჩიხიდან გამოსავალია, თუმცა ნურც თანამედროვე ვაქცინოლოგიის, ჰიგიენისა და პროფილაქტიკური დეზინფექციის განვითარებას დავივიწყებთ. თანაც ანტიბიოტიკების შესაძლებლობანიც ამოწურული როდია. ასე რომ, აპოკაფსური სურათების ხატვაც ნაადრევია. როდესაც „ანტიბიოტიკების ეპოქის დასასრულზე“ ლაპარაკობენ, ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ხელმძღვანელები მართლები არიან იმაში, რომ საჭიროა ახლებურად გავიაზროთ ანტიბიოტიკების მედიცინასა და სოფლის მეურნეობაში გამოყენების სტრატეგია.

წვლილი ჩვენ ჯანმრთელობაში

საერთო რუსეთის საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ „ერის ჯანმრთელობის ლიგა“, რომელსაც სათავეში ჩვენი თანამემამულე, ცნობილი კარდიოქირურგი, რუსეთის მეცნიერებათა და მედიცინის მეცნიერებათა აკადემიების აკადემიკოსი ლეო ბოკერია უდგას სათავეში, 10 წლის იუბილე აღნიშნა.

თავისი არსებობის მანძილზე ლიგამ მოსკოვში გახსნა ჯანმრთელობის საზოგადოებრივი ცენტრი, სადაც პირველადი დიაგნოსტიკა და სპეციალისტების კონსულტაციები უფასოდ მიიღო 70 ათასმა კაცმა. ყოველწლიურად, თბომავალი ექიმების ბრიგადითა და დიაგნოსტიკური მოწყობილობით, აქციის „ჯანმრთელობის ტალღა“ ფარგლებში მიდის რამდენიმე ქალაქში, სადაც იკვლევენ და კონსულტაციებს უწევენ ყველა ბავშვს კარდიოლოგიური პრობლემებით. ლიგა რეგულარულად აწყობს ჯანმრთელობის მარათონებს, გამოდის ლოთობის, მოწევისა და ნარკოტიკების გამოყენების წინააღმდეგ... და კიდევ მრავალი კარგი საქმეა მის ანგარიშზე.

ეჰ, არ იქნებოდა ურიგო, ჩვენშიც რომ ჩაყრიდა საფუძველი ასეთ წამოწყებას.

ხსოვნა

თამაზ სანებლიძე

ძალიან დიდი გულისტკივილით ვწერ ამ სტრიქონებს.

სამწუხაროა, როდესაც ჩვენგან სამუდამოდ მიდის ახლობელი ადამიანი.

ჩუმი, უხმაურო, კეთილშობილი, სათნო, უანგარო, ნიჭით გამორჩეული, თავის საქართველოზე უზომოდ შეყვარებული, მისი ერთგული და ასევე მისი ტკივილით გულდამძიმებული, სხვისი ჭირისა და ლხინის გამზიარებელი და გვერდში მდგომი, ერთგული მეგობარი, დიდთან დიდი და პატარასთან პატარა, გულისხმიერი ექიმი, რომელიც პოეზიასთანაც იყო წილნაყარი, საუკეთესო ორგანიზატორი და ადამიანთა ჯანმრთელობის სადარაჯოზე მდგომი პიროვნება – ასეთად ვიცნობდით მას, შესანიშნავ, უკვე საკმაოდ ცნობილ პოეტს, **თამაზ სანებლიძეს,** მისი სიცოცხლით აღფრთოვანებული და მისი სიკვდილით გულდაწყვეტილი ადამიანები.

ნათელი დაადგეს მას!

მარიკა კვალიაშვილი

საზოგადოება ზუგდიდელი უდიდესი გულისტკივილით იუწყება კოლხური ზნეობის განსახიერება, ყველასათვის საყვარელი, სამაგალითო, გამორჩეული და პერსპექტიული პიროვნების ზუგდიდის ქალაქის საკრებულოს ყოფილი თავმჯდომარის



დავით (დათა) გივის ძე სოსელიას

გარდაცვალებას და დიდ მწუხარებაში თანაუგრძნობს ბატონ გივი სოსელიას, მის ოჯახს და ზუგდიდელებს.

გურამ გუნავა ოჯახით უმძიმეს მწუხარებაში თანაუგრძნობს გივი სოსელიას და მის სამაგალითო ოჯახს, სათაყვანებელი და საიმედო შვილის

დავით (დათა) სოსელიას

მოულოდნელად გარდაცვალების გამო.

ოთარ ფაცაცია, ნოდარ ჭითანავა, ბონდო ჯიქია, გრამიტონ კვარაცხელია, ჟორა ნაჭყებია, ვახტანგ კვარაცხელია, კლიმენტი ჯანჯღავა, ალეკო კაკულია, ჯემალ კვირტია, ნუგზარ იზორია, კახა არდია, დილარ ივარდავა, გენო კალანდია, ანზორ ქუჩულორია, თამაზ გაფრინდაშვილი, ავთო ბესელია, ვალერი ჭანტურია, ვახში ჟვანია, კარლო ვეკუა, კლიმენტი კიკალიშვილი, ვაჟა ფიფია თანაუგრძნობენ ბატონ გივი სოსელიას შვილის

დათა სოსელიას

გარდაცვალების გამო.

მეუღლე თამაზ ლეკიშვილი, შვილი ნინო, შვილიშვილები ანანო, ლაშა აბზიანიძეები, მაზლი ლერმან ლეკიშვილი ოჯახით, ბიძაშვილები ნუკი, ირაკლი გურგენიძეები, დეიდაშვილები დალი, მაია სახოკიები, კოტე ჯანდიერი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

მანანა გურგენიძე

პანაშვიდი 19, 20 II, 16 სთ. გამოსვენება 21 II, 14 სთ. მისამართი საბურთალოს 40, I კორპ. III სადარბაზო.

გივი კვიჭიძე ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა უკეთილშობილესი ქალბატონი

ეთერ მაყაშვილი

და სამძიმარს ვუცხადებთ ოჯახის წევრებს. დაკრძალვა გურჯაანში 21 II, 14 სთ.

ჯემალ გაგუნაშვილი ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა

ეთერ მაყაშვილი

და სამძიმარს ვუცხადებთ ოჯახის წევრებს.

◎ ინფორმაცია

უნდა დაჩქარდეს გურამ შარაძის მკვლელობის გამოძიება

გურამ შარაძის შვილი რუსუდან შარაძე მამამისის მკვლელობის ხელახალი გამოძიების დაწყებას მანამდე ითხოვს, ვიდრე პარლამენტში საგამოძიებო კომისია შეიქმნება.

როგორც რუსუდან შარაძემ ჟურნალისტებს განუცხადა, საპარლამენტო კომისიის შექმნა, რომელიც განმაურებულ საქმეებს შეისწავლის, ჭიანურდება.

რუსუდან შარაძემ აღნიშნა, რომ შეხვდა პროკურორის მოადგილე ალეკო იმედაშვილის და პროკურორ შალვა ცერცვაძეს და გამოკითხა მამამისის მკვლელობაში ბრალდებულის, გიორგი ბარათელის შესახებ. როგორც ადვოკატი მამუკა ნოზაძე აცხადებს, შარაძის საქმის გამოძიება დროში ჭიანურდება. მისი თქმით, საქმეებს ისევ ძველი პროკურორები იძიებენ, რომლებიც პოლიტიკურად ანგაჟირებულები არიან.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ ჩვენ

გუნდაობა პალმებქვეშ

საყოველთაოდ ცნობილია მეტეოროლოგიური პროგნოზების მიმართ მოუდუნებელი ყურადღება, რომელსაც ჩვენ გარშემო მყოფნი, ასაკის მატებასთან ერთად კი თავად ჩვენც ვიჩენთ. თუ ახალგაზრდობაში ხვალინდელი და ზეგინდელი მოსალოდნელი ამინდის თაობაზე ბებია-ბაბუების, შემდგომ კი მშობლების თითქოს გადაჭარბებული ინტერესი ღიმილს გვგვრიდა, ახლა თავადაც ვუწყრებით შვილებსა და შვილიშვილებს, როცა მოსალოდნელი ამინდის შესახებ ცნობას სეირიანად არ გვასმენინებენ.

უფრო მეტად ემიჯნება ადამიანი ბუნებას, მით უფრო მეტად ხდება მასზე დამოკიდებული. სულ რაღაც 20 წლის წინათ, ამინდს ადამიანთა დაახლოებით 75 პროცენტი გრძნობდა, ამჟამად მათ ოდენობამ 90 პროცენტს მიაღწია.

ეს კი იმას ნიშნავს, რომ ამდენი ხალხი, მეტ-ნაკლებად, მთლად ჯანმრთელი არ არის. იმის გამო, რომ ბევრს ვმუშაობთ, სტრესებს განვიცდით, ცოტას ვმოძრაობთ და ვისვენებთ, გულის სისხლძარღვთა სისტემა გვერყევა. ამიტომაცაა, რომ თანდათან ტემპერატურისა და ატმოსფეროს წნევის ოდნავი ცვლილებისადმი უაღრესად მგრძნობიარენი ვხდებით. ეს კი, თავის მხრივ, ჩვენს გუნებაგანწყობაზე ახდენს ზეგავლენას.

ფიზიკის თვალსაზრისით, ადამიანი — ეს ელექტრომაგნიტური კონტურია, ამიტომ თუ იცვლება

ლონდონის, ნიუ-იორკისა და ტოკიოს, კიდევ უამრავი სხვა ქალაქისა თუ სოფლის მოსახლენი, რომელნიც დაახლოებით ერთ გეოგრაფიულ სარტყელში ცხოვრობენ. სპეციალისტების დაკვირვებით, ესაა ჩრდილოეთის ნახევარსფეროს ზომიერი განედების საკმაოდ ფართო ზოლი, რომელიც 40-სა და 70 გრადუსებს შორის მდებარეობს. **სწორედ ამ სარტყელშია დედამიწაზე ყველაზე ცვალებადი ამინდი.**

მეცნიერებმა შენიშნეს, რომ რაც ჩვენი ორგანიზმი მზის სინათლის შემცირებაზე რეაგირებს: აქტიურად იწყება ჰორმონ მელატონინის გამომუშავება, რომელიც ძილის ციკლებს არეგულირებს. ამავე დროს მცირდება სეროტონინის ოდენობა, რომელსაც კიდევ „ბედნიერების“ ჰორმონს უწოდებენ. გუნებაგანწყობაც სწორედ მათ თანაფარდობაზეა დამოკიდებული.

მაგრამ, თავისთავად სინათლე, ქარი ან ტემპერატურა არ ხდის ადამიანს მეტ-ნაკლებად ბედნიერს. 1980-იანი წლებიდან ჰუმბოლდტის (გერმანია) უნივერსიტეტის მეცნიერთა მიერ ჩატარებული 20 დიდი გამოკვლევის შედეგად, რომლებიც ამინდზე ადამიანთა გუნებაგანწყობის დამოკიდებულებას სწავლობდა, **დადგინდა, რომ ამინდი და ჩვენი გუნებაგანწყობა ერთმანეთთან არანაირად არ არის დაკავშირებული.**

მაგრამ, ამინდისადმი ჩვენი ინტერესი არასდროს განელდება, რადგან იგი ჩვენში გენური მეხსიერების დონეზე ინახება. **ჩვენ მემკვიდრეობით გვერგო სტიქიისადმი ჩვენი წინაპრების ძალიან ფრთხილი დამოკიდებულება, მით უმეტეს, რომ მისი მართვა დღემდე ვერაფრით ვისწავლეთ.** ამასთან, უამინდობისგან მიღებული ზარალის ოდენობა ბოლო წლებში განუზომლად გაიზარდა. **ადამიანი დღეს-დღეობით სრულიად დაუცველია ასტეროიდებისგან, მზეზე აფეთქებებისგან, გლობალური დათბობისა თუ გამყინვარების წინაშე.** ამიტომაცაა, რომ თავს ერთგვარად დაცულად ვგრძნობთ, როცა ხვალის ამინდის პროგნოზს მოვისმენთ და დაახლოებით ვიცით, თუ რას უნდა ველოდეთ. ხოლო, ღმერთმა დაგვიფაროს, რამე საშინელება თუ მოხდება, მის დასახვედრად მომზადებას ყოველთვის მოვასწრებთ.

თუნდაც თავს ქოლგას შევაფარებთ...

ლალი ხუნდაძე

სურათზე: ბოლო დროს ბუნებამ აუარება სიურპრიზი მოგვიტანა. კერძოდ, აი, ასე გამოიყურებოდა იერუსალიმი ცოტა ხნის წინათ — ახალგაზრდები პალმებქვეშ გუნდაობდნენ.

◎ ჩვენი პრესდაიჯესტი

ვაკეთილი ვახუნებთან

საბჭოთა ანაბრებს რუსეთი დაგვიბრუნებს?!

„ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ მთავრობას მოუწოდებს რუსეთს საბჭოთა ვალების დაბრუნება მოსთხოვოს. საქართველოს აქვს ლეგიტიმური არგუმენტები რუსეთის ფედერაციასთან, როგორც საბჭოთა კავშირის ერთადერთ სამართლმემკვიდრესთან, რომ საქართველოს მოქალაქეების ანაბრები დააბრუნოს, აღნიშნულია ახალგაზრდა იურისტთა განცხადებაში. რას მოიმოქმედებს მთავრობა, ვნახოთ.

„ძრონიკა“

დაავადებული კარტოფილი, ნაძურდალი ცხენების ხორცი და დახურული სუპერმარკეტები

ბაზარზე 300 ტონა კიბოთი დაავადებული კარტოფილისა და კასპში 5 ტონა ცხენის ხორცის შემდეგ, სურსათის ეროვნულმა სააგენტომ არაგეგმიური შემოწმების შედეგად სერიოზული დარღვევები აღმოაჩინა სუპერმარკეტების ქსელ „ვეჯინში“. როგორც სააგენტოში ამბობენ, ამ დროისთვის „ვეჯინის“ მაღაზიები დახურულია და ქსელი მუშაობას მხოლოდ პროდუქტების შემოწმების შემდეგ გააგრძელებს. სააგენტოში მოსახლეობის მხრიდან შემოვიდა შეტყობინება, რომ „ვეჯინიდან“ ხდებოდა ვადაგასული პროდუქტების გამოტანა და მათი ბუნკერებში ჩაყრა.

„რეზონანსი“

„გარწმუნებთ, სააკაშვილს ძალიან მალე დაუმტკიცდება, რომ გურამ შარაძის მკვლელობის შემკვეთია“

გურამ შარაძის მკვლელობის ოფიციალური ვერსიისა საზოგადოებას არც აქამდე სჯეროდა, მაგრამ 22 ოქტომბერს გიორგი ბარათელის მიერ გაკეთებულმა განცხადებამ, რომ შარაძე მას არ მოუკლავს, ეს საქმე თავდაყირა დააყენა. ამ განცხადების პარალელურად მსჯავრდებულმა პროკურატურას საქმის ხელახლა გამოძიების მოთხოვნით მიმართა. გურამ შარაძის შვილი რუსუდან შარაძე აცხადებს, რომ საქმის ხელახალი გამოძიება უკვე დაიწყო და საზოგადოება ნამდვილი მკვლელის სახელს ძალიან მალე გაიგებს — სააკაშვილს ძალიან მალე დაუმტკიცდება, რომ ამ მკვლელობის შემკვეთია, — ამბობს რუსუდან შარაძე.

„ასავალ-დასავალი“

„ხელისუფლების დღევანდელი საძციელი დოყლაპიობაა!“

— მიაჩნია პარლამენტის უმრავლესობის წევრს კობა დავითაშვილს, — სერგო რატიანთან ჩხუბი ისე არ მწყენია, როგორც თანაგუნდელების განცხადებები. გამართლებას არავისგან ვითხოვ და მზად ვარ პასუხი ვაგო პოლიტიკურადაც და სამართლებრივადაც, მაგრამ ერთ ქვაბში მოხარშო რატიანი და დავითაშვილი?.. მე ვერ ვგრძნობ თანაგუნდელების მხარდაჭერას. მაშინ რაღა გუნდია ეს? თუ უმრავლესობა გამემიჯნება, ფეხების ბრახუნს არ დავიწყებ.

„კვირის პალიტრა“

„უგულავას მოთხოვნით არავინ დამკითხავს“

— აცხადებს უფლებადამცველი ნანა კაკაბაძე, — მე თუ დამკითხეთ, ნანა კაკაბაძეც დაკითხეთო, ალბათ, ამას გულისხმობს, თორემ, სხვა რა დგას მისი განცხადების უკან, მართლა ვერ გავიგე. რომც დამკითხონ, რა შეიძლება გიგი უგულავას სასარგებლოდ მე ვთქვა, არ ვიცი... რა მდგომარეობაში ვიყავი მე იმ აქციაზე, რას ვხედავდი და რა იყო რეალობა, თუ ვინმეს დააინტერესებს, მე, რა თქმა უნდა, მზად ვარ, გამომძიებელს მივცე სრული ინფორმაცია, მაგრამ ამით უგულავა რას მოიგებს, ჩემთვის გაუგებარია.

„ახალი თაობა“

◎ ანეკდოტები

— მეორედ დავქორწინდი და ეს მეორე ცდაც უიღბლო გამოდგა.
— რატომ?
— პირველმა ცოლმა მიმატოვა.
— მეორემ?
— მეორე არც ფიქრობს წასვლას.

* * *

— გაიგე? ბენზინი ისევ გაძვირებულა, კაცო! — ეუბნება შეწუხებული პეტკა ძმაკაცს.
— მერე შენ რა გადარდებს, შენ ხომ მანქანა არა გყავს?
— სანთებელა ხომ მაქვს!

* * *

ბაზარში ტიპი, რომელიც საზამთროს ყიდვას აპირებს, გამყიდველზე კაიფობს:
— რა ღირს ეს დიდი ვაშლი?
— ხელით ნუ ეხები ჩემს ყურძენს! — უპასუხებს გამყიდველი.

* * *

მოხვდა ტიპი საავტომობილო კატასტროფაში. გონს რომ მოდის, კითხულობს:
— სადა ვარ?
— მეოცე ნომერში.
— ეს პალატაა თუ კამერა?

* * *

— როგორც სპეციალისტები ამბობენ, ხალხი უკეთ ცხოვრობს.
— ხალხი კი ამტკიცებს, რომ ცხოვრების პირობების გაუმჯობესება საერთოდ არ იგრძნობა.
— ეს არც არის გასაკვირი. ხალხი ხომ სპეციალისტი არ არის.

◎ კადრი

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პერმოსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა-1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“ იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა მაშაკიძე 514 33-33-24

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com